



## რამაზ სურმანიძე

დოდი ვაზირი

ხოსრო მრისთავი-ჩემიძე

ბათუმი  
2012



## შ06ათძმა

2012 წელს ქურნალ „ჭოროხი“-ს პირველ ნომერში დაიბეჭდა ჩემი ნარკვევი „ქართველი გლეხი—ოსმალეთის მუშირი,“ სადაც ნათქვამია, რომ მე-19 საუკუნის ოციან წლებში საქართველოდან ოსმალეთში გაყიდული ჭაბუკი, გვარად გუჯაბიძე (შემდეგ ვასიფ-მეჰმედ-ფაშა) იქაურმა დიდვეზირმა, წარმოშობით ქართველმა პუსრევ-ფაშა ერისთავმა-ჩხეიძე<sup>\*</sup> აღზარდა, რის შემდეგ იგი ოსმალეთის მუშირი (მარშალი) გახდა.<sup>1</sup> აქვე მკითხველს შევპირდი, რომ ამ თემას გავაგრძელებდი, შევთავაზებდი ნარკვევს თვით ხოსრო-ფაშაზე, როგორც გუჯაბიძეთა გვარიდან გამოსული ქართველი ჭაბუკის (და არა მარტო მისი) აღმზრდელზე.

---

\* ხოსრო-ფაშას სხვადასხვა ავტორების შრომებში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ (ხოსრევ, ხუსრევ). ჩვენ მიგვაჩნია, რომ მისი ნამდვილი სახელი ხოსრო-ა, ამიტომ ყველგან ამ სახელს ვყენებთ. ეს სახელი ძველთაგანვე გავრცელებული იყო საქართველოში (აქედან უნდა მოდიოდეს ქაიხოსრო). 1764-70 წლების ერთ-ერთ საბუთში მოწმეებად დასახელებული არიან კაკაცაისშვილები (კაიკაციშვილები): ხოსრეა და გოგიტელა (კ. თაყაიშვილი. საქ. სიძვ. II. გვ. 1909. გვ. 521). აქ ინტერესს იწვევს თვით კაიკაციშვილის გვარიც (რ. ს.).

## ჩხეიძე-ერისთავთა ბგარი

სანამ ხოსრო ერისთავი-ჩხეიძის ცხოვრებას შევეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს ვესაუბრო ჩხეიძთა გვარზე, მის წარმოშობასა და გავრცელებაზე, აგრეთვე თუ როგორ გახდნენ ისინი ერისთავები და როგორია ამ გვარის გავრცელების არეალი.

საქართველოში ჩხეიძეთა გვარის ბუდე-ადგილად ითვლება ჩიხორი, ჩიხა, რომლის მფლობელებად ისინი მუ-9 საუკუნიდან იხსენიებიან. მეცნიერები ფიქრობენ, რომ გვარიც ჩიხა-დან უნდა მომდინარეობდეს; ჩიხაიძე, ჩიხეიძე, შემდეგ ჩხეიძედ (ჩხეიძედ) იქცაო. მართლაც ჩიხას ერისთავი პირველად გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, სადაც ნათქვამია, რომ აფხაზთა მეფე გიორგი პირველმა (მეფობდა 861-868 წლებში) „დაიპყრა ქართლი და დაუტევა ჩიხას ერისთავად მე დემეტრესი“ (ბაგრატი, რ. ს.).<sup>2</sup>

**პროფ.** ოლდა სოსელიას აზრით ჩიხას ადგილმდებარეობა (ერისთავ-ჩხეიძეთა რეზიდენცია) ემთხვევა იმერეთის უძველეს ქართულ საერისთაოს მარგვს, იგივე არგვეთს, სადაც ერისთავები ჯერ კიდევ ფარნაგაზის დროს იქნენ დაღვნილნი და ისინი ჩხეიძის გვარს ატარებდნენ. მეცნიერი თვლის, რომ ჩიხას


ერისთავის უფლებები ქართლზეც ვრცელდებოდა, მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა. 875 წელს გარდაიცვალა აფხაზთა მეფე გიორგი I, რომლის მეუღლემ მოკლა ჩიხას ერისთავი ბაგრატი და საერისთაო კვლავ ჩეკიძეებმა (ჩხეტიძეებმა) დაიბრუნეს.

ამის შემდეგ ჩიხას საერისთავო რეზიდენცია შორაპანში გადადის, რის გამო ჩიხას ხსენება წყდება და ამიერიდან მის ადგილს შორაპანის საერისთავო იკავებს. მის შემადგენლობაში შედის არგვეთი და რაჭა.<sup>3</sup>

მე-10 საუკუნეში რაჭა ცალკე საერისთავოდ ყალიბდება, ხოლო არგვეთი შორაპანის საერისთავოს გამგებლობაში რჩება. მე-15 საუკუნეში შორაპანის საერისთავო დაიშალა და მის ტერიტორიებს სხვადასხვა საგვარეულოები, მათ შორის ჩეკიძეები დაეუფლნენ. სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი ჩხეიძეთა სათავადოს აღმოცენებას.<sup>4</sup> მისი ერთი წარმომადგენელი ივანე ჩხეიძე მე-15 საუკუნეში (1488 წლიდან) რაჭის ერისთავად აღზევდა. დროთა მსვლელობაში რაჭის და იმერეთის ჩხეიძეები ერთმანეთს დაშორდნენ, რაჭის მფლობელმა ჩხეიძეებმა ნაწილობრივ გვარიც დაკარგეს და ამიერიდან ერისთავი მათს გვარად გამოცხადდა.\*<sup>5</sup> თუმცა ისინი თავისთავს მუდამ ერისთავი-ჩხეიძეს უწოდებდნენ.

ამგვარად რაჭველი ერისთავების ძირძველი გვარი ჩხეიძეა (ჩხეტიძე), ჩვენც საუბარს გავაგრძელებთ ამ

\* ანალოგიურია გურიის ერისთავების ისტორია. მათი წინაპერები აფხაზი შერვაშიძეები იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი გურიის ერისთავად დანიშნეს, რის შემდეგ მათი გვარი ერისთავად იქცა.



### რაჭის ერისთავ-ჩხეიძეთა გერბი

გვარის გამგრძელებელ ძლიერ გვარზე, ერისთავებზე, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ჯერ რაჭის ნაწილის, ხოლო შემდეგ მთლიანად მხარის მფლობელებად ითვლებიან.

რაჭის ერისთავებს ახალი ოქთიდენცია წესში პქონდათ. აქვე ააშენეს სასახლე და ეკლესია, რის შემდეგ ამ ნაწილს ბარაკონი უწოდეს, რომელიც მტრისათვის საკმაოდ მიუდგომელ აღგილად იყო ცნობილი.

მე-17 საუკუნიდან რაჭის ერისთავებმა, რომლებიც ადრე იმერეთის მეფეს ვასალურად ემორჩილებოდნენ, ერთგვარ დამოუკიდებლობას მიაღწიეს. მათ მეცე კი აღარ ნიშნავდა ერისთავად, არამედ ეს ტიტული გადადიოდა მეგვიდრეობით მამიდან შვილზე უფროსობის მიხედვით. უფლებების ასეთმა გაზრდამ

ხელი შეუწყო მეფისადმი რაჭის ერისთავების დაუმორჩილებლობას, რასაც ერთის მხრივ მეფებთან, მეორეს მხრივ რაჭის თავადებთანაც გამუდმებული ქიმპი და შუღლი მოჰყვა.

ამ შინაგანი ბრძოლის შედეგი იყო, როცა გაენათელ ეპისკოპოს-ყოფილს გადევანს, რომელმაც ძმისწულ პაპუნას ცოლი წარითვა, იმერეთის მეფე ალექსანდრე V-მ საერისთავო მამული უბობა, ხოლო თავად გედევანს ბარის ერისთავი უწოდა.<sup>6</sup> ასე გაჩდნენ იმერელი ერისთავები, რომლებიც ჩხეიძის გვარს ამიერიდან აღარ ატარებდნენ. სამეფო კარის მიზანი იმერელი და რაჭის ერისთავების დაპირისპირება იყო, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია, რაჭის ერისთავები კვლავ მძლავრობდნენ და მათ მეფე ალექსანდრე V-ის რამდენჯერმე ტახტიდან განდევნაც კი შეძლეს (1741წ.), თუმცა დროებით.

ამის შემდეგ იცვლებოდნენ იმერეთის მეფები და იცვლებოდა მათი დამოკიდებულება რაჭის ერისთავ-ჩხეიძეებთან. სოლომონ I-მა 1769 წელს საერთოდ გააუქმა რაჭის საერისთავო და მისი მამულები სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, ნაწილი, ყმა-გლეხებიანად თავის ერთგულ წერეთლებს უბობა, ერისთავები კი სახტიგად დასაჯა. როსტომ რაჭის ერისთავსა და მის შვილებს თვალები დასთხარა.<sup>7</sup> 1784 წელს იმერეთის სამეფო ტახტზე დავით გიორგის ძე ავიდა, რაჭის საერისთავო ადადგინა და თურქეთს შეფარებული თავისი მოყვარე-ნათესავები, ჯერ კიდევ ცოცხალი რაჭის ერისთავის როსტომის შვილები, კერძოდ, „ქიორბეგი“ (გიორგი) რაჭის ერისთავად დასვა, თუმცა

ეს დაწინაურება ხანმოკლე აღმოჩნდა. გიორგი ოსეტში ლაშქრობის დროს მოკლეს<sup>8</sup> და ერისთავის ადგილი გიორგის შვილმა ანტონმა დაიკავა, მაგრამ დიდხანს არც მისი ბატონობა გაგრძელდა. მალე იმერეთის სამეფო ტახტზე სოლომონ II ავიდა. მან ერისთავები შეიწყალა, მაგრამ რაჭის საერისთავო მანაც სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, ხოლ ბარაკონი თავის ერთგულ სოლომონ ლიონიდეს გადასცა.

ყველაფერს წერტილი დაესვა 1810 წელს, როცა რუსების ხელით დატყვევებული სოლომონ მეორე მათ გაექცა და ოსმალეთს შეაფარა თავი. ფაქტობრივად სამეფო გაუქმდა და იმერეთში რუსული წყობილება დამყარდა. იმპერიის ერთგულ ანტონ გიორგის ძე ერისთავს რუსებმა რაჭის მაზრაში რამდენიმე სოფელი აჩუქქა, თუმცა რაჭის საერისთავო აღარ არსებობდა და ანტონი ჩვეულებრივ თავადის უფლებებით სარგებლობდა.<sup>9</sup>

## რას ბვიამბობს ჯემალ ჩხეიძე თავის ბგარზე

ჩხეიძე-ერისთავები საქართველოს სხვა კუთხეებში, მათ შორის აჭარის სოფელ აქუცაშიც დამკვიდრდნენ. ამ მოვლენაზე მრავალი მოსაზრება არსებობს. დავიწყებთ აქაურ ჩხეიძეთა გვარში დარჩენილი ხსოვნით. ცნობილი მეცნიერის, ფილოლოგისა და

---

\* გადმოგვცა პროფ. ნოდარ ჩხეიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ (რ.ს.).

ისტორიკოსის, წარმოშობით აქცუცელი ჯემალ ჩხეიძის მონათხრობიდან\* ირკვევა, რომ რაჭის ერისთავების ერთ-ერთი შტო, კერძოდ ორი ძმა ჩხეიძე-ერისთავი სოფელ აქცაში მე-18 საუკუნის 50-60-ან წლებში ჩამოსულან. მათთვის ოსმალეთის სულთანს ნასოფლარი აქცა უბოძებია. აქ ძმები ცალ-ცალკე დასახლებულან და ორი ოჯახი შეუქმნიათ. შემდეგ მოუწვევიათ აქედან აყრილი მოსახლეობა, აგრეთვე სხვა სოფლებში მცხოვრები რამდენიმე გვარეულობა, დაურიგებიათ მათთვის მიწები და სოფელი კვლავ გაუცოცხლებიათ.\*

10-15 წლის შემდეგ ერთი ძმა საკუთარი სურვილით, თუ არმიაში გაწვევის მიზეზით ოსმალეთში წასულა. მას აქცაში დაუტოვებია ცოლი და ორი შვილი, ქალ-ვაჟი, ოსმალეთში ახალი ოჯახი შეუქმნია და სულთნის კარზე ძალზე დაწინაურებულა.

სოფელ აქცაში დარჩენილი ძმის ოჯახი ორ შტოდ – ჩხეიძე და ერისთავად გამრავლებულა. თავადი ერისთავი კვლავ ფლობდა მიწებს და ჩვეულებრივი სოფლის მებატონის წესით ცხოვრობდა. ამ ოჯახს ნათესავური კაგშირი პქონდა მრავალ ოჯახთან, მათ შორის ასამბაძეების გვართან. ცნობილი დაუთ ასამბაძის ბებია ჩხეიძე-ერისთავი ყოფილა.

\*როგორც ირკვევა, ჩხეიძეები ქედის რაიონის სოფელ კანტაურშიც ცხოვრობდნენ. მათ გააჩნდათ საგვარეულო ეკლესია, მარწები, ღვინის ქვერები და ვენახი. ისინი გულმოდგინედ იცავდნენ ქართულ ტრადიციებს და ცხოვრების წესებს. ისინი დაბეჭდეს თხმალეთში, რის გამო ხელისუფლებამ მათ ჩამოართვა აზნაურის უფლებები (ზ. ჭიჭინაძე. მუხლიმან ქართველობა... ტფილისი. 1913. გვ. 103) რ. ს.



**ჯემალ ჩხეიძე  
(1922–1993)**

მეოცე საუკუნის დასაწყისში აქციაში დარჩენილი ერისთავები ოსმალეთში წასულან, ხოლო მათგან განაყოფი ჩხეიძეები სოფელში დარჩენილან. ოჯახის უფროს ერისთავს სახლში ავადმყოფი ვაჟი დაუტოვებია და მისი მოვლა-პატრონობა მეზობელი ერისთავისათვის მიუნდვია, უძრავი ქონებაც მისთვის გადაუცია. აქციალ ერისთავთა ბოლო შთამომავალი მაღლე გარდაცვლილა და აქ ამ გვარის არსებობაზე მხოლოდ ხსოვნა შემორჩენილა.

ოსმალეთში გადასახლებულ მეორე ერისთავს ახალი ოჯახი შეუქმნია, თუმცა უცნობია, მან როგორი ურთიერთობა დამყარა ადრე წასულ თანამომმეუბოან. ჯემალ ჩხეიძის თქმით, აქციდან გადასახლებული ერისთავების ერთ-ერთ წარმომადგენელს მეორე მსოფლიო ომამდე თურქეთის პრემიერ-მინისტრის თუ მისი მოადგილის თანამდებობა ეკავა, ხოლო ომის

დროს დიდ ბრიტანეთში თურქეთის რესპუბლიკის ელჩის მოვალეობას ასრულებდა.

ერისთავების ნასახლარი დღესაც არის შემორჩენილი ქედის რაიონის სოფელ აქუცაში.<sup>10</sup>

ასეთია ჯემალ ჩხეიძის მოგონება და საერთოდ აქუცელ ჩხეიძეთა გვარში დარჩენილი სსოფნა.

## სოფელი აქუცა

სოფელი აქუცა მდებარეობს ქედის რაიონში მდინარე აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 600 მეტრზე. ქედის ცენტრიდან დამორებულია 2 კმ-ით, ბათუმიდან 38 კმ-ით. ამჟამად აქ 75 კომლს ითვლიან, მცხოვრებთა რიცხვი კი 300-ს აღწევს.



სოფელი აქუცა. ხედი ს. გულებიძან. 16 ივნისი, 2012 წ.

სოფელში ცხოვრობს 15 გვარეულობა, მათ შორის ჩეკიძეთა ორი ოჯახი. რაც შეეხება ერისთავის გვარს, მისმა უქანასკნელმა წარმომადგენელმა, რომელსაც ზ. ჭიჭინაძეც შეხვდა, მე-19 საუკუნის მიწურულში დატოვა სამშობლო და ოსმალეთში გადასახლდა. აქ დარჩენილი ავადმყოფი ვაჟი კი მაღლ გარდაიცვალა. ამგვარად, საკუთრივ ერისთავთა გვარმა ს. აქუცაში სულ რაღაც საუკუნეზე ცოტა მეტ ხანს იარსება.

სოფელი მდიდარია მიკროტოპონიმებით. დღეისათვის აქუცაში 33 ადგილის სახელს ითვლიან. კომუნისტური რეჟიმის დამყარებამდე ყველა ამ ადგილს თავისი პატრონი ჰყავდა. საზოგადოდ, აჭარაში დიდ პატივს სცემდნენ საკუთრების უფლებას და იშვიათი იყო შემთხვევა, როცა ვინმე სხვისი უძრავი ქონების (სახლის, მიწა-წყლის) დასაკუთრებას შეძლებდა. თუ ამას დააპირებდა, სოფელი ამის უფლებას არ მისცემდა. ეს წესი მოქმედებდა კომუნისტების დროსაც, როცა ოჯახებს დაუტოვეს მხოლოდ 2 500-დან 7 500-მდე კვ.მ. მიწის ფართობი, დანარჩენი ჩამოართვეს და საკოლმეურნეო საკუთრებად აქციეს.

მიუხედავად ამისა, საკოლმეურნეო ფონდებში ჩარიცხულ მიწებს ფორმალურად მისი ყოფილი მეპატრონის სახელი მაინც ერქვა და ამას მის „გაერთიანებულ“ ფართობად მიიჩნევდნენ. სოფლის ეს დაუწერები კანონი მომდევნო წლებშიც მოქმედებდა, ამიტომ ყველამ იცის მიწის ესა თუ ის ფართობი, დიდი თუ პატარა, სათიბი თუ სახნაგი, ტყე თუ საძოვარი, წარსულში ვის საკუთრებას წარმოადგენდა.



ხოსრო ერისთავი-ჩხეიძის ნასახლარი სოფელ აქუცაში.  
16 ივნისი, 2012 წ.

სოფლის 33 მიკროტოპონიმიდან 10 ნაკვეთი: აკვანეთა, ახოყანა, ახოღელე, სხულოვანი, ძიგვათა, ჯორჯინაული, მოყორვილა, ნაღომვარი, ბაცელური, ხატვენახი წარსულში ჩხეიძეების საკუთრება იყო, ხოლო ორს (ზემოკორდი და ოტოფნარა) ერისთავები ფლობდნენ. ამჟამად ზემოკორდში ერისთავების ნასახლარიც არის შემორჩენილი.


## ზაქარია ჭიჭინაძე და აშუცელი ერისთავი

1890-91 წლებში აჭარაში მოგზაურობისას ზაქარია ჭიჭინაძე მრავალ ადგილობრივ ხანდაზმულს შეხვდა. მათგან ბევრი საგულისხმო ამბავი ჩაიწერა და

ნაწილობრივ მაინც გააცოცხლა ამ მხარის ისტორია, რომელიც, ძველი დოკუმენტების დაკარგვის გამო, მანმადე პნევლით იყო მოცული.

ზ. ჭიჭინაძე ერთ-ერთ ქართველ მაკმადიანს, მათ შორის ჯერ კიდევ აქ მცხოვრებ მოხუც ერისთავსაც შეხვედრია, რომელსაც მისთვის ქრისტიანობის თანდათანობით გადავარდნისა და მუსლიმანობის დანერგვის თაობაზე უსაუბრია.<sup>11</sup>

ჩვენი აზრით, სწორედ ეს პიროვნება უნდა იყოს ჯემალ ჩხეიძის მიერ მოხსენიებული, აქუცაში დარჩენილი ერთ-ერთი ქმა, რომელიც შემდეგ თავადაც გაუდგა ოსმალეთის გზას.



ზაქარია ჭიჭინაძე  
(1854–1931)

ზაქარია ჭიჭინაძე სხვა ნაშრომებშიც არაერთხელ იხსენებს აქუცელ ერისთავებს. ერთგან იგი ამბობს: „სოფ. აქუცა. გადასახლდა 15 კომლი. აქ ცხოვრობდნენ მაკმადიანთ ერისთავები, ესენი აქეზებდნენ ხალხს

გადასახლებისათვის, თვითაც მთლად გადასახლდნენ თხმალეთში. ამ სოფლიდამ გახლდათ ხოსროვ-ფაშა ერისთავი, თხმალეთის დიდი მინისტრი. ეს ხოსროვ-ფაშა 1840 წლებს იყო ინგლისში გაგზავნილი.<sup>12</sup>

ამ ფაშის შესახებ ზ. ჭიჭინაძე თავის სხვა ნაშრომშიც მოგვითხრობს: „ხოსროვ-ფაშა ერისთავი, დიდი მინისტრი. ეს ფაშა ერთ დროს ინგლისში თხმალეთის ელჩადაც ყოფილა, იცის ქართული ენა და წერა-კითხვა. ამის გარდა იცის ინგლისური, ფრანგული და სხვანი. ევროპულად არის განათლებული.“<sup>13</sup>

ზემოთდასახელებულ ნაცნობ ხანდაზმულ ერისთავს ზ. ჭიჭინაძე ამავე წიგნში კიდევ ერთხელ იხსენებს მაშინ, როცა ეხება სოფელ აქუცას მოსახლეობის რიცხვსა და ისტორიულ სიძღვლეებს: „აქუცა. 77 კომლი.



1901 წ. ს. აქუცაში რაჭელი ოსტატების ხელით აშენებული ჩხ-ეძე-ერისთავების სახლის შესაპეთებელი ფასადი. 16.06.2012 წ.

ძველისძველ ნასაყდრალის ალაგს ქვები და ქვევრები სჩანს. აქ სცხოვრობენ მაპმადიანი ერისთავები. ამ გვარისა ერთი კაცი-ლაა დარჩენილი. დანრჩენი სულ ოსმალეთში წავიდნენ... აქ დარჩენილი ამბობდა თურმჯ: ოსმალეთში მე არ წამოვალ, აღიობას დავთმობ და გავიდი, რადგანაც ეს ჩვენ შეგვიძენია ოსმალთაგან, მაგრამ ერისთავობას არაფერზედ გავცვლიო.“<sup>14</sup>

ეს სიტყვები იმდენად შთამაგონებელია, რომ სხვა დოკუმენტების უქონლობის მიუხედავად, ერისთავების აჭარაში ცხოვრება არავითარ ეჭვს არ იწვევს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ზ. ჭიჭინაძე პირადად ესაუბრა სწორედ იმ ერისთავს, რომელსაც კარგად აქვს შეგნებული ამ ტიტულის ფასი და მის შეცვლას ცოცხალი თავით არ აპირებს. ამ მონათხოვობიდან ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე ხოსრო-ფაშა ერისთავის დახასიათება, მისი წიგნიერება, ენების ცოდნა, განსწავლულობა და დიპლომატიური ნიჭი.

## ჩხეიძე-ერისთავები აჭარაში

როდის გადმოსახლდნენ რაჭის ერისთავი-ჩეიიძეები აჭარაში? ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.

დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე დაინტერესებულა ჩეიიძეთა გვარის ისტორიით და უთქვამს, რომ აჭარაში ისინი მე-17 საუკუნის ბოლოს ჩამოსახლდნენ. ამის მიზეზად იგი მხოლოდ ზოგადად იმერეთის სამეფოში განვითარებულ მოვლენებს ასახელებდა.<sup>15</sup>

გიორგი ლეონიძის მოსაზრებაში მხოლოდ ერთი კორექტივის შეტანაა საჭირო. ჩეიძეები აჭარაში მე-18 საუკუნეში ჩამოსახლდნენ და დიდი პოეტისა და ლიტერატურის ისტორიკოსის მიერ დასახელებული „იმერეთის სამეფოში განვითარებული მოვლენებიც“ სწორედ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში განვითარდა.

ზოგი მკვლევარი (მათ შორის ჯემალ ჩეიძე) თვლის, რომ ერთი ჩეიძეთაგანი რაჭაში ჩადენილი დანაშაულის (მკვლელობის) გამო სასჯელს აერიდა და აჭარაში გაიქცაო. მეორეთა აზრით, რამდენიმე ჩეიძე-ერისთავი იმერეთიდან ლტოლვილ სოლომონ მეორეს ახლდა; მეფის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება სოლომონ II-ის ყველა მომხრეს აპატიმრებდა და სჯიდა, ამიტომ იმერეთში ვერ ბედავდნენ დაბრუნებას და აჭარაში დამკვიდრდნენ.

როგორც ირკვევა, არცერთი ეს მოსაზრება სწორი არაა. პირველი უფრო მოარულ ამბავს ჰგავს; აჭარაში სხვა ქართული მხარეებიდან გადმოსახლებულთა გვარეულობაზე თითქმის იმავეს გაიგონებ: „იმერეთში (გურიაში) კაცი შემოაკვდათ და სამი მმა აჭარაში გამოიქცნენ.“ ასეთი შემთხვევებიც არაა გამორიცხული, მაგრამ ერისთავ-ჩეიძეთა მიმართ იგი არ დასტურდება.

რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, თითქოს მართლაც აქვს საფუძველი, რადგანაც სოლომონ მეორეს თბილისშიც (1810 წ.) და ოსმალეთშიც (1815 წ.-მდე) ახლდნენ დავით და გიორგი ერისთავები, ისინი მეფეს გარდაცვალებამდე არ მოსცილებიან, მაგრამ ისინი იმერელი ერისთავებია არიან და მათი

ჩხეიძეთა გვარზე მიკუთვნების არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია.

მეორეც, აჭარაში ჩხეიძე-ერისთავების სოლომონის ოსმალეთში გადახვეწამდე გაცილებით ადრე დამკვიდრდნენ. ამაზე მეტყველებს აქუცის მეზობელ სოფელ არსენაულში მცხოვრებ სურმანიძეთა ოჯახში აღმოჩენილი დოკუმენტები, სადაც ნათქვამია, რომ არსენაულელი სურმანიძის კარ-მიდამო აქუცელი თავადის, ერისთავის მამულს ემიჯნებაო. არაბული შრიფტით შედგენილი ეს დოკუმენტი 1799 წლით, ე. ი. მეფე სოლომონის ოსმალეთში წასვლამდე 10 წლით ადრეა დათარიღებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ერისთავები ამ სოფელში 1815 წელზე (სოლომონის გარდაცვალებამდე) გაცილებით ადრე დამკვიდრებულან.<sup>16</sup>

\* \* \*

### 806 და როდის ბადასახლდა აჟარაში?

რაჭველ ჩხეიძე-ერისთავთა გვარიდან ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი არა გვაქვს. შეიძლება მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა.

როგორც ზემოთ ვთქვით, რაჭის ერისთავების შეუზღუდავმა მოქმედებამ დიდად დაასუსტა სოლომონ I-ის გავლენა იმერეთის სამეფოში. ერისთავები იქამდეც მივიდნენ, რომ მეფის მიმართ განდგომა რომ გაეძლიერებინათ, მართლმადიდებლობა უარყვეს და 1751 წელს კათოლიკურ სარწმუნოებას ეზიარენ (როსტომ რაჭის ერისთავი, მისი მმა ბესარიონი და

როსტომის შვილი გიორგი) და მთელი სიცოცხლე ამ სარწმუნოებას მსახურებდნენ.<sup>17</sup> რაჭის ერისთავს მეფემ რამდენჯერმე აპატია ურჩობა, ცდილობდა სამეფოში ყველა უთანხმოება მშვიდობიანად მოეგვარებინა, მაგრამ ამაყი როსტომის მოთვინიერება არასგზით არ მოხერხდა.

1767 წელს სოლომონ I-მა დაიქირავა ლეკები, თავს დაესხა რაჭას და ააოხრა იგი, თუმცა როსტომი ვერ მოიხელთა, მან გაქცევა მოახერხა. ერისთავმა დახმარებისათვის ახალციხის ფაშას, ერეკლე II-ს, აგრეთვე ყაბარდოს მთავარს მიმართა, მაგრამ დახმარება ვერ მიიღო. სოლომონ I-თან რაჭის ერისთავის მტრობა კვლავ გაგრძელდა.

1769 წელს იმერეთის მეფემ გადაწყვიტა როსტომ ერისთავი შერიგებაზე დაეთანხმებინა და ამას თავისი ძმის, კათალიკოს იოსების ჩარევით მიაღწია კიდევ. მათ შორის „მშვიდობის ფიცე“-ც გაფორმდა, როსტომი სოლომონს მიენდო და სასახლეში ეახლა, მაგრამ ამჯერად მეფემ დაარღვია ფიცე და როსტომი მთელ ოჯახთან ერთად შეიკვრო, გააუქმა საერისთავო, ერისთავს და მის შვილებს თვალები დასთხარა და მამულები ჩამოართვა, ხოლო დასახიჩრებული ერისთავთა მოდგმა საპყრობილეში ჩასვა.<sup>18</sup> ამის გამო კათალიკოსმა იოსებმა ძმა დაწყევლა და წირვა შეწყვიტა.

სოლომონ პირველს როსტომ ერისთავი 1770 წლამდე ციხეში ჰყავდა გამოკეტილი. შემდეგ გაათავისუფლეს და იგი 1790 წელს გარდაიცვალა.

როსტომს 7 ვაჟი ჰყავდა. მძიმე სასჯელს 2 გადაჰყვა და მხოლოდ 4 გადარჩა: გიორგი, მეორედე,

დიმიტრი და კიდევ ერთი, რომლის სახელი არ არის ცნობილი (პირობით №). მეშვიდე ძმა, ბესარიონ კათალიკოსი ამ დროს ოდიშში იყო და სასჯელი ამით აიცილა. ოლღა სოსელიას მოჰყავს დავით და ბაგრატ ბატონიშვილების ცნობები და ამბობს, რომ სასჯელის აღმსრულებელი ერისთავების მიმართ სიბრალულით ყოფილა გამსჭვალული, იგი თვალებს ნაწილობრივ აზიანებდა და განწირულ ერისთავებს სინათლეს უტოვებდათ. თვალდამწვარ ერისთავებს თურმე ერთმორწმუნე კათოლიკე ბერი დიონისე მკურნალობდა და იმდენს მიაღწია, რომ მეთოდეს ორივე თვალში, ხოლო გიორგის ერთ თვალში პირვანდელი სინათლე თითქმის დაუბრუნა. როგორც ჩანს, დანარჩენ ორ ძმასაც ჰქონდათ შენარჩუნებული მხედველობა, რადგანაც ძმებმა (ოთხეულმა) საპყრობილედან გაქცევა მოახერხეს და თავი ოსმალეთს შეაფარეს.

მეთოდემ ბრძოლის გაგრძელება გადაწყვიტა. მან შეძლო ოსმალთა და ლეკოთა ჯარის შეგროვება და იმერეთის წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ დამარცხედა. უფრო მეტიც, 1774 წელს იგი ხელში ჩაუვარდა სოლომონ I-ს, რომელმაც მეთოდე საბოლოოდ დააბრმავა და იმერეთიდან გააძევა. იგი ჯერ ერეკლე II-მ შეივარა, ხოლო 1799 წელს მეთოდე სოლომონ II-მ რაჭაში დააბრუნა და ძველ მამულებზე გააბატონა.<sup>19</sup>

უფროსი ძმა გიორგი ოსმალეთის სულთან მუსტაფა II-ის სამსახურში ჩადგა. აქ მას „ქიორ-ბეი“-ს (ბრძანის) სახელით იცნობდნენ. გიორგი იმდენად მომაგრდა, რომ სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, 1784 წელს, ისარგებლა ტახტის დაუფლებისათვის ორი მემკვიდრის ქიშპით და იმერეთში გამეფებაც კი

განიზრახა (რა თქმა უნდა ოსმალთა დახმარებით), მაგრამ დავით გიორგის ძემ, ქიორ-ბეის (გიორგის) ცოლისძმამ ტახტზე ასვლა დაასწრო, ქიორ-ბეი კი კვლავ ოსმალეთში გაბრუნდა.<sup>20</sup>

მეფე დავით გიორგის ძე გაცილებით ლოიალურად მოიქცა, მან რაჭის საერისთავო აღადგინა და მამულები გიორგის („ქიორ-ბეი“) შვილებს ანტონს და ლევანს დაუბრუნა, მაგრამ ისინი უუნარონი აღმოჩნდნენ, ვერ შეძლეს ერისთავობა, ამიტომ მეფემ ოსმალეთიდან „ქიორ-ბეი“ (გიორგი) გამოიწვია და ერისთავად განაწევა. როგორც ვთქვით, ორი წლის შემდეგ, 1787 წელს გიორგი („ქიორ-ბეი“) ოსმალებთან ბრძოლის დროს მოკლეს, ამიტომ რაჭის ერისთავად კვლავ ანტონი დაბრუნდა.<sup>21</sup>

\* \* \*

სოლომონ II-ის გამეფების შემდეგ ერისთავთა იხტორიაზე ზემოთ ვისაუბრეთ, ამიტომ აქ ადარ გავიმეორებთ. ჩვენ როსტომ რაჭის ერისთავის 4 შვილიდან, რომლებიც ოსმალეთში გადაიხვეწნენ, ვიცით მხოლოდ გიორგის („ქიორ-ბეის“) და მეთოდეს ცხოვრების ბოლო წლები, ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ და აქვე აღესრულნენ,\* მაგრამ არ ვიცით,

---

\* ამაზე ისიც მეტყველებს, რომ 1850 წელს შედგენილი იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახების სიებში შეტანილია ბერთლეს შვილის გიორგის (პოდპორუქნიერის) და ანტონ გიორგისძის შვილის პრაპორშჩიკ ივანეს ოჯახები (იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. თბილისი. 1999. გვ. 309), ხოლო დიმიტრი და ნე ამ სიებში არ გვხვდება.

რა ბედი ეწიათ დანარჩენ თრს, დიმიტრისა და მეოთხე ვაჟს (№), რომლის სახელი უცნობია. ოსმალეთიდან მათს დაბრუნებაზე არავთარი ცნობა არ არსებობს, ამიტომ შეიძლება გამოვთქვათ თრი სავარაუდო მოსაზრება:

1. ოსმალეთში მყოფი ერისთავისძენი 1810 წელს შეუერთდნენ სოლომონ მეორეს ამალას და ერთხანს იზიარებდნენ ტრაპიზონში ლტოლვილის ცხოვრებას. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ერთი მათგანი სულთანის კარზე დაბრუნდა, ხოლო მეორემ იმერეთში უკვე გაბატონებული რუსების ქვეშევრდომობა არ ისურვა, სულთან წყალობა გამოსთხოვა და მისგან მიიღო აჭარის სოფელი აქუცა.

2. მეორე მოსაზრება, რომელიც ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია შემდეგია: ოსმალეთშო მცხოვრებმა როსტომ ერისთავის შვილებმა დიმიტრიმ და №-მა ჯერ კიდევ 1772 წელს, ოსმალეთში ყოვნისას თხოვნით მიმართეს სულთან მუსტაფა III-ეს, რათა დახმარებოდა სამშობლოში დაბრუნებაში, მაგრამ არა იმერეთში, არამედ რომელიმე სხვა მხარეში. სულთანმა თხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილა და მათ საცხოვრებლად მიუჩინა სამუსლიმანო საქართველო, კერძოდ აჭარა, რომელიც იმ დროს ოსმალეთის საზღვრებში იყო მოქცეული;

სულთანმა მათ უბოძა ქვემო აჭარის სოფელი აქუცა,\* რომელიც სხვადასხვა მიზეზით ნახევრად

\* 1566-1574 წწ. სულთან სელიმ II-ის დროს ჩატარებული აღწერით სოფელ აქუცაში მხოლოდ 5 კომლიდა იყო დარჩენილი: რამაზ ფირულის ძე, გიორგი სესიას ძე, გონარ სესიას ძე, გოგია გაბრიელის ძე და სუვარ გაბრიელის ძე. ყველას ერთად უნდა

დაცარიელებული იყო. აქ დასახლებიდან რამდენიმე წლის, ჯემალ ჩეკიძის აზრით 10-15 წლის შემდეგ, ერთ-ერთი მას ოსმალეთში დაბრუნდა და სულთანის კარზე დიდ წარმატებებს მიაღწია. ჩვენი აზრით, სწორედ ეს პიროვნებაა სულთანის უპირველესი ვეზირი ხოსრო-მეჰმედ-ფაშა.\*

ჩვენი აზრით, ს. აქუცაში (ქედის რ.) რაჭის ერისთავი-ჩეკიძეები დიმიტრი და № (ჩვენი ვარაუდით იგივე ხოსრო, ქაიხოსრო), 1771-1774 წლებს შორის დასახლდნენ. მათი მომდევნო თაობა უცნობია. ერთი განშტოება ატარებდა ერისთავის, ხოლო მეორე – ჩეკიძის გვარს.

სწორი უნდა იყოს ჯემალ ჩეკიძე, როცა ამბობს, რომ ერთ-ერთი ერისთავი-ჩეკიძე აჭარაში დაფუმნებიდან 10-15 წლის შემდეგ კვლავ ოსმალეთში წავიდაო.

გადაეხადათ 3 000 ახას, რაც თითო კომლზე საშუალოდ 600 ახას უდრის.<sup>22</sup>

1723-24 წ.<sup>23</sup> სულთან აშმედ III-ის დროს აჭარაში მეორე აღწერა ჩატარდა. ჩვენთვის უცნობია ამ დროს რამდენი კომლი ცხოვრობდა აქუცაში. ვიცით მხოლოდ, რომ სოფლის გამგებელი არის ვინე მეშვეობელი აბდულის ძე, ხოლო სოფელზე გაწერილია გადასახადი 7 000 ახას.<sup>24</sup> თუ ვივარაუდებთ, რომ წინა აღწერიდან მეორე აღწერამდე, კ. ი. 150 წლის შემდეგ, თითო კომლის გადასახადი იგივე 600 ახა დარჩა, მაშინ ამ დროს აქუცაში 12 კომლი უნდა ვიგულისხმოთ. თუმცა გამორიცხული არაა, რომ გადასახადი გაიზარდა, ხოლო კომლთა რიცხვი იგივე დარჩა, შესაძლოა შემცირდა კიდეც. ვაქტია, რომ ამ დროს აჭარაში ქართული სახელ-გვარი უკვე გამქრალია და მხოლოდ სოფელს შერჩა ისტორიული სახელი (რ. ს.).

\* ჩვენი აზრით, № ერისთავი-ჩეკიძის სახელი სწორედ ხოსროა, რომელიც მას ოსმალეთში გაყიდვის თუ გადახვეწის დროს ერქვა (რ. ს.). იგი სპარსულია და „ხელოვანს“ „დიდებულს“, „ძლიერს“ ნიშნავს. მისი კნინობითი ფორმებია ხოსია, ხოსიგა. აქედან გვარები: ხოსროშვილი, ხოსიგაშვილი (ზ. ჭუმბურიძე. „რა გქვია შენ?“ თბილისი. 1982. გვ. 20).

იგი მის ვინაობას არ ასახელებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს სწორედ ხოსრო (ქაიხოსრო) როსტომის ბე ერისთავი-ჩხეიძე უნდა იყოს. სამწუხაროდ ვერ დავაღინეთ მის მემკვიდრეობა ვინაობა აჭარაში, გარდა ერთი სავარაუდო შვილიშვილისა. აჭარაში გამუსლიმანებული პირველი ერისთავი ჩვენს მიერ ზემოთქმულ უცნობ თაობას უნდა მიეკუთვნებოდეს. პირველი გამუსლიმანებული ჩხეიძე, ჩვენი ვარაუდით, უნდა იყოს ემინ-აღა, დიმიტრის ან ხოსროს ვაჟი (იხ. გენეალოგიური სქემა ემინ-აღის შტო). თვით ხოსრო ოსმალეთში გამუსლიმანდა პირველი ლტოლვილობის დროს, ჯერ კიდევ 1771-74 წლებში.

პირველი გამუსლიმანებული ერისთავის ქალიშვილი უნდა იყოს ადილე-ხანუმი, რომელიც „მშობლების ოსმალეთში წასვლის დროს გათხოვილ დასთან სტუმრად ყოფილა და შემთხვევით სამშობლოში დარჩენილა.“ (ჯემალ სურმანიძე. დაუთი. 2010. გვ. 22). ეს ქალბატონი ცოლად გაჰყოლია პაჯი-უსუფ ასამბაძეს, საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ დაუთ ასამბაძის ბაბუას. ავტორი ასამბაძეთა გვარში დარჩენილ ხსოვნას ემყარება და ადილე-ხანუმი ხოსრო ერისთავი-ჩხეიძის ქალიშვილად მიაჩნია. თუმცა გენეალოგიის ქრონოლოგიური გადათვლით იგი ხოსრო-ფაშის შვილიშვილი, ე. ი. ჩვენთვის უცნობი მისი ერთ-ერთი ვაჟის ქალიშვილი უნდა იყოს. ასეა თუ ისე, ადილე-ხანუმი აქუცელი ერისთავი-ჩხეიძის პირდაპირი შთამომავალია, ამიტომ მიზანშეწონილად გცანით მკითხველს შეგთავაზოთ ასამბაძეთა გვარში მისი ნამრავლის გენეალოგიური შტო.



ჩეეიძეთა კარ-მიდამოს. აქუცაში. 16. 06. 2012 წ.

როგორც ზემოთ ვთქვით, მოგვიანებით, კერძოდ, დიდი მუჭაჯირობის დროს, აჭარის ერისთავთა უკანასკნელმა წარმომადგენელმაც (ჩვენი აზრით, ხოსროს შთამომავალმა) ოსმალეთს მიაშურა და აჭარაში მათი საგვარეულოდან დარჩნენ მხოლოდ მათი გვარის განაყოფი ჩეეიძეები, რომლებიც ახლაც ცხოვრობენ ქვედის რაიონში.

## 806 იყო ხოსრო ერისთავი-ჩეეიძე?

საკმაოდ ვრცელი შესავლის შემდეგ მკითხველს გავაცნობთ ხოსრო-მეჭმედ ფაშის ბიოგრაფიას. როგორც ზემოთ ვთქვით, ქართულ წყაროებში ამ პიროვნებას თითქმის არავინ შეხებია (გამონაკლისია

დავით ჯანელიძე, რომლის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ). ზაქარია ჭიჭინაძემ ძალზე მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი ცნობა მოგვაწოდა. კერძოდ, მხოლოდ ის-და თქვა, რომ ხოსრო-ფაშა წარმოშობით ქვედიდან, ხოფელ აქციიდანაა, ერისთავის გვარს ატარებდა, ჰქონდა ევროპული განათლება, ფლობდა მრავალ ენას და ოსმალეთში დიდ იერარქიულ წარმატებას მიაღწია.

მიუხედავად ამ ცნობის სიმცირისა, იგი საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ, რომ ხოსრო-ფაშა გვარად ერისთავი-ჩეხიძეა და რაჭის ერისთავების შთამომავალია. აჭარაში ეს საგვარეულო მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან ცხოვრობს და ა. შ.



ხოსრო-ფაშა ერისთავი-ჩეხიძე

ხოსრო-მეპმედ-ფაშის საკმაოდ ვრცელი და სანდო ბიოგრაფია გამოაქვეყნა ოურქმა მეცნიერმა მურატ კასამა.<sup>24</sup> ავტორმა ხოსრო-ფაშა შეიტანა თავის საკმაოდ ვრცელ წიგნში, „ქართველები ოსმალეთში“, რითაც მკითხველს დაუდასტურა, რომ მისი ქართველობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ოუმცა ავტორი არ ასახელებს მის ქართულ გვარს და სადაურობას. უფრო ადრე ხოსრო-ფაშის ცხოვრებას შეეხო ქართველი მეცნიერი დავით ჯანელიძე,<sup>25</sup> მაგრამ არც იგი ასახელებს მის გვარს და სადაურობას და ძირითადად ამ პიროვნების საქმიანობაზე საუბრობს, ამიტომ უმჯობესია ჯერ გავეცნოთ ხოსრო-ფაშის კასაპისეულ ბიოგრაფიას, ხოლო შემდეგ მის საქმიანობას და იერარქიულ აღმასებლას.

### მურატ კასამი

მურატ კასაპი ხუსრევ-მეპმედ-ფაშაზე საუბარს პირდაპირ მისი ეთნიკური წარმომავლობით იწყებს და ამბობს, რომ იგი „ქართული წარმოშობის, ოსმალეთის ვეზირია, ფადიშავ მაჰმუდ მეორეს დროის სწავლული, ადმირალი, ხოლო ფადიშავ აბდულ-მეჯიდის დროს დიდვეზირი.“ ხუსრევმა განათლება საიმპერატორო სასახლეში მიიღო. პატარა ჰუსეინ ფაშის მოსვლამდე იყო



თურქი ისტორიკოსი  
მურატ კასაპი

ადმირალი, მინისტრის პირველი მდივანი, ხოლო შემდგომ მმართველი (მამასახლისი) გახდა. 1801 წელს პუსეინ-ფაშასთან ერთად ხუსრევ-ფაშა ეგვიპტის ლაშქრობაში ჩაერთო. ომის დამთავრების შემდეგ ეგვიპტეში დარჩა და ალექსანდრიის გვარდიის ნაწილის უფროსად დაინიშნა. აქედან გუბერნატორის თანამდებობაზე გადაიყვანეს იზმითში. იმავე წელს ვეზირის წოდება მიიღო და ეგვიპტისა და სალონიკის გამგებელი გახდა. 1803 წელს დიარბაქირის, 1804 წელს კი ხელმეორედ სალონიკის, 1808 წელს ბოსნიის და 1809 წელს ისევ იზმითის გამგებლად მუშაობდა.

1811 წელს ხუსრევ მეჰმედ-ფაშა ადმირალი გახდა. წესრიგში მოიყვანა სამხედრო ფლოტის ადჭურვილობა, ასევე ძირფესვიანად შეამოწმა დიდი



მურატ ქასაპი, თენგიზ თავდგირიძე, მურად ატაბარუთი, ლევან თავდგირიძე, ოთარ ნადირაძე, რამაზ სურმანიძე (ზის). მარტი, 2012 წ.


სნის განმავლობაში უკონტროლოდ მყოფი აქდენიზის სანაპიროს პლაკატები, ბოლო მოუღო ამ მხარეში გავრცელებულ ყაჩადობებს და ადგილობრივი მთავრობა თავის გავლენის ქვეშ მოაქცია. 1818 წელს ხუსრევ-ფაშამ თავი დაანება ადმირალის მოვალეობას და დაინიშნა ტრაპიზონის გამგებლად. შემდეგ მუშაობდა ერზრუმის, ყარსის, ბოლუს და ედრიბოზის გამგებლად. ერზრუმის გამგებლობის პერიოდში ამავდროულად სამხედრო მინისტრადაც მუშაობდა.

1822 წელს მორეას აჯანყების დროს სახიფათო საქმეებში ჩაბმამ, გაბედულებამ და მეზღვაურების წარმატებით გაძლიერდა ხუსრევ-ფაშას სახელი განადიდა და იგი ხელმეორედ დანიშნეს ადმირალად. მან ჩაახშო მორეას აჯანყება და ხელთ იგდო ისპარას კუნძული. შემდეგ კი გაეშურა ეგვიპტეში, რათა შეეკეთებინა დაზიანებული საზღვაო გემები. 1824 წელს შეუერთდა მისესოლონგის ომს. ეგვიპტეში ხუსრევ-ფაშის ყოფნისას, ქვეყნის გამგებელმა მეჰმეთ ალი-ფაშამ თავისი გავლენის დაქვეითება იგრძნო და ხუსრევი ფადიშაპ მაჰმუდ მეორესთან დაასმინა. სულთანმა 1826 წლს პუსრევ-ფაშას ჩამოართვა ადმირალის წოდება, მაგრამ ერთი წლის შემდეგ იგი მხედართმთავრად დანიშნა. სწორედ ამ დროს ხუსრევ-ფაშამ სიძლიერის უმაღლეს წერტილს მიაღწია. 1837 წელს მხედართმთავრის თანამდებობიდან იგი პარლამენტის უფროსად გადაიყვანეს.

ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა ფადიშაპი მაჰმუდ მეორე, მისი ადგილი კი უფროსმა ვაჟმა აბდულ-მეჯიდიმა დაიკავა. 1839 წელს აბდულ-

მეჯიდის ხელდასმით ხუსრევ-ფაშა დიდი ვეზირი გახდა, მაგრამ ერთი წელიც არ გასულა, მის წინააღმდეგ აღძრულ იქნა საქმეები. იგი დამნაშავის და დევნილის სტატუსით გადაგზავნეს თექირდაღში, სადაც ერთი წელი დაჰყო, შემდეგ სტამბულში დაბრუნდა. 1846 წელს ხუსრევ-ფაშა წარადგინეს პარლამენტის განსაკუთრებულ წევრად და დააბრუნეს სამხედრო სამსახურში. 1847 წელს იგი მხედართმთავრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მაღალი რანგის წევრად პარლამენტში მაინც დარჩა. 1848 წელს პენსია დაუნიშნეს და საცხოვრებლად სანაპიროზე გადავიდა.

ხუსრევ-მექმეთ-ფაშა 1855 წელს ასი წლის ასაკში გარდაიცვალა და ეიუფ-სულთანში მდებარე სასაფლაოზე დაკრძალეს.



ხოსრო-ფაშა ერისთავი-ჩხეიძის ბიბლიოთეკა და საფლავი  
ქ. სტამბოლში

\* \* \*

ფადიშაპი-მაჭუდ მეორე თავისი ჩანაფიქრის მკაცრი განმახორციელებელი გამოდგა. ხელქვეითებიც მას ბაძავდნენ. ადმირალმა ხუსრევ-ფაშამ 1826 წელს, როგორც კი მიიღო სულთანის ბრძანება იანიჩარების კორპუსის გაუქმების შესახებ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, განსაკუთრებული სისახტიკე გამოიჩინა: გემზე მყოფი იანიჩარები ზღვაში გადაყარა და ამით ფადიშაპს თავისი ერთგულება დაუმტკიცა. ოფიციალურ შეხვედრაზე სამხედრო მეზღვაურებს მის მიერვე ტუნისში ნაყიდი წითელი ფეხები დაახურა და ისე წარსდგა ფადიშაპის წინაშე. ფადიშაპი ამ მოულოდნელობამ ძალიან გაახარა, მას მოეწონა მეზღვაურების ახალი თავსაბურავები და იმ დღიდან ბრძანა, ძველი ქავუქის (ძველებური თავსაბურავი, რომელზეც ჩაღმას იხვევდნენ) და ქწის ჩაჩის ნაცვლად ფეხი ეტარებინათ. ამგვარად, თურქეთში ფეხის შემოტანა და რესპუბლიკის შექმნამდე მისი ტარება ხუსრევ-ფაშის დამსახურებაა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალეთში რეფორმების თავი და თავი და სულთანის კარზე მნიშვნელოვანი როლის მოთამაშე სახელმწიფო მოხელე ხუსრევ-ფაშა იყო. მისი დამსახურებაა ჯარების მოდერნიზაცია. გარდა ამისა, მან მრავალი ნაწარმოები შექმნა. თაქსიმზე გახსნა პარბიეს სასწავლებელი და თავისი ქონების დიდი ნაწილი სხვადასხვა ქველმოქმედებაში დახარჯა. ხელფასები დაუნიშნა მეჩეთის იმამებს, მუეძინებს, მქადაგებლებსა და ედირნიდან ნაქშიბენდის თექქემდე

მოძრავ დერვიშებს. მისი ყველაზე დიდი შედევრი ეიუფ სულთანში გახსნილი ბიბლიოთეკაა. ამ ბიბლიოთეკას 1015 წიგნი შესწირა. შემდგომში ხუსრევ-ფაშის მიერ შეწირული საგნების რაოდენობამ 714 ხელნაწერს და 445 ნაბეჭდ წიგნს მიაღწია. ამ წიგნებმა და დოკუმენტებმა რამდენჯერმე იცვალეს ადგილი. ისინი საბოლოოდ, 1957 წელს სულეიმანიეს ბიბლიოთეკაში დააბინავეს. ხუსრევ-ფაშამ სტამბოლში ეიუფ ბოსთან-ბურჯთან, აბანოს ქუჩაზე, პალიჯიოღლუში, ბუიუქდერეში და სუთლუჯეში თავისი ხარჯებით შადრევნები დაადგმუნინა.

ადმირალის მოვალეობის შესრულებისას ხუსრევ-ფაშამ გაატარა ოსმალეთის საზღვაო ფლოტის რეფორმები. დაამზადებინა ფრეგატების, კორვეტის და ბრიგის ტიპის მსუბუქი გემები. სტამბულის გემთსაშენში პატარა ჰუსეინ-ფაშას (იხ.) მიერ დაწყებული გემები ჩაუშვა სამშენებლო დოკებში. წესრიგზე მოიყვანა ბაჰრიეს სასწავლებელი, გემთსაშენში დაამზადებინა მტკიცე აღჭურვილობით მოწყობილი, მყარი იალქნიანი სამხედრო გემები, ხოლო გამოუცდელი ბეჯდვაურებისთვის პირველი სწავლებები ჩაატარა, რამაც ახალგაზრდობაში დიდი ინტერესი გამოიწვია. მალე ამ სწავლებაში 12 000 სამხედრო მეზღვაური ჩაეწერა და სამხედრო ფლოტის პერსონალიც შეიიცნო.

ფადიშაპის შემდეგ ხუსრევ-ფაშა ყველაზე ძლიერი სახელმწიფო მოხელე იყო. იგი მუდამ ხუმრობით ლაპარაკობდა. მიუხედავად იმისა, რომ მოხუცი იყო, ყველას ახალგაზრდულ და სისხლმჩქეფარე ადამიანად ესახებოდა. რძესავით თეთრი წვერი, წითელი სახე,

დიდი, ნისკარტივით ცხვირი, პატარა თვალები, დიდი თავი და დაბალი ტანი მისი მთავარი ფიზიკური მახასიათებლებია. 35 წელი მაღალ თანამდებობებზე სამსახური მისი პოლიტიკური მოხერხებულობის მაჩვენებელია. ფადიშაპის მიერ შემოდებული ევროპული მეთოდით ჯარისკაცების მომზადების პირველი კომენდანტი სწორედ ჰუსრევ-ფაშა იყო.



**ხოსრო მემეგ-ფაშა ერისთავი-ჩხეიძე  
(უცნობი მხატვრის ნახატი)**

55 წელი გეზირად ყოფნის და ასი წლის ასაკის მიღწევის გამო მას დიდი ხუსრევ-ფაშას სახელი ეწოდა. ორჯერ იქორწინა. პირველი მეუღლე, ქართველი ქალბატონი ფატმა 1849 წელს გარდაიცვალა. მეორე მეუღლე, ჩერქეზი ქალბატონი ჰურიქ, 1891 წელს

გარდაიცვალა. ხუსრევ-ფაშას საუკეთესო თვისტებიდან ერთ-ერთი, თავის დაქვემდებარებაში მყოფი პირების აღზრდა-გაწრთვნა და შემდეგ მათი სახელმწიფო სამსახურში მნიშვნელოვან პოზიციაზე დანიშვნა იყო. მეორე ქორცინებიდან შვილები არ გააჩნდა, ამიტომ აღსაზრდელებს საკუთარ შვილებად თვლიდა და უმაღლესი დონის განათლებას აძლევდა. მან გამოზარდა მეცხრამეტე საუკუნის ოსმალეთის ცნობილი სახელმწიფო მოხელეები, როგორიც იყვნენ: დიდი ვეზირი მეპმეთ რეშით-ფაშა, სულთანის სიძე ჰალილ- რიფათ-ფაშა, ვასიფ-მეპმეთ-ფაშა, სადულაჰ-ფაშა, აბდი-ფაშა, ეთპემ-ფაშა, სათვალიანი რეშით-ფაშა, ჰაირეთთინ-ფაშა, ფერპათ-ფაშა, ჰუსეინ-ფაშა, ისქენდერ-ფაშა და სელიმ-ფაშა.\*

ყველაზე მოხუცი და ყველაზე მდიდარი ფაშის ვეზირობის პერიოდზე ასეთ ამბავს ყვებიან: მურთაზ-ევენდის ვაჟიშვილი, ალი-რიზა-ფაშა წინდაცვეთის დროს მამის რჩევის გათვალისწინებით დიდი ხუსრევ-ფაშასკენ ხელზე სამთხვევად გაემართა. ხუსრევ-ფაშამ რამდენიმე გულისამაჩუქებელი სიტყვით მიმართა, შემდეგ ჯიბიდან გასაღები ამოიღო, კარადა გააღო, გადაჩხრიკა და ბავშვს მიუბრუნდა: „შვილო, შენი შესავერისი არაფერი დამრჩენია“-ო, უთხრა და, თითქოს უბრალო ყოფილიყო, ვერცხლის სამელნე და ძვირფასი თვლებით გაწყობილი ფინჯანი გადასცა. დიდი ხნის შემდეგ ალი რიზა-ფაშას ეს ნივთები გაუყიდია და აღებული ფულით მექაში სალოცავად

---

\* უმრავლესობა ეთნიკური ქართველია, ამიტომ მათი ბიოგრაფიის შესასწავლად მკვლევარის წინაშე საინტერესო სამეცნიერო ასპარეზი იშლება (რ. ს.).

წასულა, იქ კი ლოცვები მისი ნათლიას სულის საონ-სად ჩაუტარებია.

ასეთია თურქი ისტორიკოსის მურატ კასაბის მიერ მოძიებული მასალების საფუძველზე შედგენილი ხუსრუ-მეჰმედ-ფაშის ბიოგრაფია.<sup>26</sup>

## დაპირ ჯანელიმე

ახლა მოვუსმინოთ ქართველ მეცნიერს დავით ჯანელიძეს, რომელმაც ათეულობით უცხოური წყარო მოიშველია, რათა სრულყოფილად გადმოეცა ხოსრო-ფაშის ცხოვრება და მოღვაწეობა.

დავით ჯანელიძე ხოსრო-ფაშას ტყვედყოფილს უწოდებს და მის მოქმედებას იანიჩართა ტრაგიკულ აღსასრულთან მჭიდრო კავშირში მოიაზრებს. მეცნიერი ეყრდნობა ფრანგი მოგზაურის ქოზეფ მიშოს ჩანაწერებს და ამბობს, რომ სმირნას (ახლანდელი იზმირი რ. ს.) ფაშას **მეჰმედ-ეფენდის** ბრალად დასდეს იანიჩარებთან საეჭვო ურთიერთობა, დამნაშავედ სცნეს და სულთანმა მაპმუდ II-მ მას სიკვდილი მიუსაჯა, განაჩენის აღსრულება კი მაშინდელ კაფუდან-ფაშა (აღმირალი) ხოსროს დაავალა.

მიუხედავად იმისა, რომ მეჰმედ-ეფენდი ბავშვობის მეგობარი იყო, ხოსრო-ფაშას უფლება არ ჰქონდა ამ საშინელ დავალებაზე უარი ეთქვა. თუმცა შეეცადა მეჰმედ-ეფენდისათვის თავდაცვის ან გაქცევის საშუალება მიეცა. ამ მიზნით იგი ხომალდით სმირნაში ჩავიდა და მეჰმედ-ეფენდის ეწვია. მასპინძელმა ყრმობისდროინდელი მმობილი სიხარულით მიიღო და ზღაპრული ზეიმი გაუმართა. გამომშვიდობებისას

ხოსრევ-ფაშამ მეგობარს საჩუქრად ინგლისური თოფი და ძვირფასი არაბული ბედაური აჩუქა, თვითონ კი ხომალდზე დაბრუნდა.



**დავით ჯანელიძე (1924–1987)**  
**ისტორიკოსი, პედაგოგი, პოეტი, მთარგმნელი**

ამ საჩუქარმა მეპმედ-ეფენდის ახლობლებში ორგვარი აზრი წარმოშება: ერთი ფიქრობდნენ, რომ ამ საჩუქრის უკან დალატი იმალებოდა, ხოლო მეორენი თვლიდნენ, რომ თოფის და ცხენის ჩუქებით ხოსრო-ფაშა მეპმედ-ეფენდის გაქცევის ან თავდაცვის საიდუმლო ნიშანს აძლევდა.

მართლაც ხოსრო-ფაშამ მოხერხებულად სცადა მეგობრისათვის საფრთხის აცილება, გარემოცვამაც ურჩია მეპმედ-ეფენდის სასჯელს გაქცეოდა, ე. ი. ან თავი დაეცეა, ანდა სადღაც გადამალულიყო.

როგორც ირკვევა, საჩუქრების ასეთი მიზნით ბოძება იმ დროს ბევრი ქვეყნის პრაქტიკაში, მათ

შორის სპარსეთში, ოსმალეთში და საქართველოშიც (ერეკლე II-ის დროს) ყოფილა. ამიტომ, შეუძლებელია არ ცოდნოდა სმირნას ფაშას ასეთი საჩუქრების სიმბოლურობაზე, მაგრამ მან ვერ გამოიჩინა საჭირო სიფრთხილე, მიხვედრილობა და შორსმჯვრებელობა. უგულებელყო თავისი უახლოესი თანამებრძოლების რჩევა და მეგობრისაგან პრაქტიკულად სიკვდილს-გადარჩენილი ყოველგვარი მიწვევის გარეშე თავისი ფეხით ავიდა ადმირალ ხოსრო-ფაშას ხომალდზე. ბუნებრივია, სიკვდილმისჯილი კაიუტაში შესვლისთანავე დააპატიმრეს და გადაიყვანეს მეორე, პატარა ხომალდზე, რომელმაც კუნძულ მეტელინისაკენ აიღო გეზი. ნავსადგურში შესვლისას მეჰმედ-უფენდის ხომალდზევე მოკვეთეს თავი და კუნძულის მმართველს ჩააბარეს, რომელმაც იგი სულთანის კარს გაუგზავნა.

დ. ჯანელიძე სვამს კითხვას: თუ ხოსრო-ფაშას მეგობრის გადარჩენა სურდა, სიტყვიერად რატომ არ მისცა რჩევაო და თვითონვე პასუხობს: სიტყვიერი გაფრთხილება მისის მიზნის გამხელას და გამომზეურებას ნიშნავდა, რაც ხოსროსათვისაც სახიფათო იყო. მართალია, იგი მცირე ამალით, მხოლოდ სამი კაცით ესტუმრა მეჰმედ-უფენდის, მაგრამ ესეც საკმარისი იყო მათი მისვლის მიზეზის გახმაურებისათვის. მეჰმედ-ფაშას სიკვდილით მაინც დასჯიდნენ და არაა გამორიცხული, რომ სულთანის საიდუმლო დავალების გამსელა დალატად ჩაეთვალათ და იგი ხოსრო-ფაშისათვისაც სასიკვდილო განაჩენით დასრულებულიყო.

## ხოსრო-ფაშა ერისთავი-ჩენიძის აღზრდილები

როგორც მურატ კასაპი წერს, ხოსრო-ფაშას შეიღები არ გააჩნდა (იგულისხმება ოსმალეთი, აჭარაში კი მან შთამომავლობა დატოვა), ამიტომ ოსმალეთში მან გაზარდა სხვები, უპირატესად ქართველები, რომლებიც შემდგომში ოსმალეთის ცნობილი სახელმწიფო და სამხედრო მოხელეები გახდნენ (მათი სია იხ. თავში, „ოურქი მეცნიერი მურატ კასაპი:“).



ხოსრო ერისთავი-ჩენიძის აღზრდილი გასიფ-მემედ გუჯაბიძე

დ. ჯანელიძე ხოსრო-ფაშის ცხოვრების მრავალ საინტერესო ეპიზოდს ეხება, მათ შორის მის მიერ ქართველ ტყვედყოფილთა გამოსყიდვას, აღზრდას და

დაწინაურებას.\* ამ მხრივ სამაგალითოა **ქართველი პალიო-რიფათ ფაშის** ცხოვრება. იგი სულთან მაჰმუდ II-ს სიძე გახდა. ამგვარად, ქართველმა ჭაბუქმა, რომლის ქართული სახელ-გვარი სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით უცნობია, ოსმალეთში ცოლად შეირთო დედით ქართველი სულთანის, მაჰმუდ II-ს და მისი ქართველი მეუღლის ფატიმა ქუთაოელაძის (ბეზმიალეგ-ვალიდე სულთანის) ქალიშვილი. ბუნებრივია, პალილ-ფაშა თავისი აღმზრდელის, ხოსრო-ფაშის, ხოლო ქორწინების შემდეგ, სულთანისა და დედოფლის ხელდასმით აღზევდა, ამიტომ მოკლედ ვისაუბრებთ პალილ-რიფათ-ფაშის ბიოგრაფიაზეც.

დ. ჯანელიძე ამჯერად ფრანგ ავტორს ლ. დობინოს იმოწმებს და ამბობს, რომ „პალილი,

\* ერთ-ერთ მათგანზე ვასიფ-მეჰმედ-ფაშა გუჯაბიძეზე ცალკე ნაშრომი გამოვაქვეყნება (იხ. ქ. „ქოროხი“ №1, 2012 წ. გვ. 80-83). აქ საჭიროდ ვთვლით მოვიწანოთ ვასიფ-მეჰმედ-ფაშა გუჯაბიძის, როგორც ხოსრო-ფაშა ერისთავი-ჩხეიძის აღზრდილისა და დაწინაურებულის მოკლე ბიოგრაფია ჩვენივე წერილიდან:

ვასპი (ვასიფ) მეჰმედ-ფაშა გუჯაბიძე წარმოშობით გურიის სოფელ ჩოხებათიდანაა. დაბადებული უნდა იყოს 1800–1805 წლების ახლო ხანებში. 1819–20 წლებში გურიაში ანგირუსული გამოსვლების დროს 15–20 წლის ასაკში მყოფი ჭაბუქი თხმალებს მიჰყიდეს. თხმალეთში ჩაყვანილი ტყვე დიდევზირმა ხოსრო-მეჰმედ-ფაშა ერისთავმა-ჩხეიძემ გამოისყიდა, აღზარდა და ხელი შეუწყო მის თანამდებობრივ დაწინაურებას. ვასიფმა დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, მონაწილეობდა ბოსფორის რაიონში და ყარსის ბრძოლებში, მალე გახდა გენერალი, ხოლო შემდეგ თხმალეთის მუშირი (მარშალი).

ვასიფ-მეჰმედ-ფაშა გუჯაბიძე გარდაიცვალა 1865 წელს, დაკრძალულია უსკუდარში, პალილ-ფაშის სავანეში.

ვასიფ-ფაშას ცოლად ჭყავდა ქართველი აღა-პუსეეინ-ფაშის ქალიშვილი. მასთან ქალ-ვაჟი შეეძინა. ვაჟი აღრე გარდაიცვალა, ხოლო ქალიშვილის შთამომავლობამ დღემდე მოაღწია.

ხონთქარ-მაპმუდის (1808-1839) პირველი სიძე, იყიდეს საქართველოში, ჩამოიყვანეს სტამბოლში და მიჰყიდეს მოხუც სერისკირს ხოსროს და დიდხანს ამ უკანასკნელის კეთილგანწყობილებით და მფარველობით სარგებლობდა, შემდეგ ხოსრომ იგი უზენაეს პოსტებზე დააწინაურა.<sup>27</sup>



ხოსრო ერისთავი-ჩხეიძის აღზრდილი, წარმოშობით ქართველი,  
ჰალილ-რიფათ-ფაშა

ჰალილ-ფაშა, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ სულ-თანის სიძე გახდებოდა, ხონთქრის კარზე დიდი პატივით იყო გარემოსილი და მას ევროპის ჯართა სერასკირის (გენერალსიმუსის) უმაღლესი სამხედრო წოდება მიენიჭა. ქართველ ჭაბუქს ხშირად გზავნიდნენ მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთშიც. ოუმცა არმიაში რუსული წესების დანერგვა არ შედიოდა სულთანის გეგმებში, ჰალილ-ფაშა კი მისდაუნებულად

ასე მოიქცა: ოტომანთა არმიაში შემოიღო მეფის რუსეთის სამხედრო წესდება და რუსული სამხედრო ადგაზმულობა. ეს სიახლე, როგორც ფორმით (ტანსაცმელი) ისე შინაარსით (წესდება), ორ მტრულად განწყობილ და სიძულვილით ადსავსე ქვეყნის ჯარებს შორის ერთგარ მსგავსებას შექმნიდა, მაგრამ ევროპის ქვეყნების ჩარევით გეგმა განუხორციელებელი დარჩა და სულთნის სიდე ჰალილ-ფაშაც ამჯერად გადაურჩა მკაცრი სიმამრის რისხვას. თუმცა მხოლოდ ცოტა ხნით.

ჰალილ-ფაშას ახლა სხვა უსიამოვნება შეხვდა. მას დააბრალეს ორი მოხელის მოწამლვა (ალბათ, ჰალილის დიდი თანამდებობიდან ჩამოქვეითების მიზნით, რ. ს.), იგი გადააყენეს თანამდებობიდან, აჲხადეს ევროპის სერასკირის წოდება და გააძევეს შორეულ მხარეში. მტრებმა ჰალილს ბრალდება ისე შეუკერეს, რომ მას ვერც მისმა ყოვლისშემძლე აღმზრდელმა ხოსრეო-ფაშამ უშველა.<sup>28</sup>

უადგილო არ იქნება მკითხველს გავაცნოთ ხოსრო-ფაშა ერისთავი-ჩეკიძის აღზრდილის ჰალილ-ფაშის საქმაოდ დაზუსტებული ბიოგრაფია, რომელიც მურატ კასაპმა თავის ზემოთდასახელებულ წიგნში შეიტანა. აგტორი დაბეჯითებით ადასტურებს, რომ ჰალილ-ფაშა ქართული წარმოშობის ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეა. იგი სულთან მაჰმუდ II-ისა და სულთან აბდულ-მეჯიდის ზეობის პერიოდში სხვადასხვა დროს მუშაობდა თავდაცვის მინისტრის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის და სადესანტო შეიარაღების სარდლის თანამდებობებზე. სწავლობდა ხოსრო-ფაშას სასწავლებელში, მოიპოვა მისი ნდობა

და ჯერ „მუპურდარი“ (პირი, რომელიც განკარგავს სახელმწიფო ბეჭედს), შემდეგ კი ხაზინის მმართველი გახდა. 1827 წელს პალილმა მიიღო ბეგბის უფროსის წოდება, დაინიშნა ნიღდეს ქონების მართვის უფროსის თანამდებობაზე, შემდეგ კი იგივე თანამდებობებზე მუშაობდა ქირშეპირსა და ნავშეპირში. რუსული თავდასხმების დაწყების შემდეგ პალილ-ფაშა დაბრუნდა სტამბოლში და დაინიშნა „სერ ასკერ კაიმაგამის“ პოსტზე. ამავე დროს მუშაობდა სამხედრო საქმეთა რეგისტრაციონის და „შერიფის“ თანამდებობებზე.

1829 წელს პალილ-ფაშა დაინიშნეს ელჩად რუსეთში. დაბრუნების შემდეგ გახდა „ქაფთანი დერია.“\* ამ თანამდებობაზე მუშაობისას შეიარაღებულ ძალებში გაატარა ზოგიერთი რეფორმა, განსაკუთრებით მისი გაახალგაზრდავების თვალსაზრისით. პალილ-ფაშამ შექმნა ჯგუფი, რომლის კომპეტენციაში შედიოდა მშვიდობიანობის დროს შეიარაღებული ძალების წერთნები. საბერძნეთისათვის გადაცემული კუნძულების რიცხვისა და საზღვრების დასადგენად, 1831 წელს ხმელთაშუა ზღვაზე განახორციელა საზღვაო სამხედრო გასვლები. 1836 წელს დაინიშნა „სერ ასკერის“\*\* თანამდებობაზე. 1839 წელს იგი დაინიშნა ვაჭრობის მინისტრის თანამდებობაზე.

1842 წელს – პარლამენტის საკანცელარიო საქმეთა მმართველად და პარლამენტის საკანცელარიო დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 1843 წელს პალილ-

\* შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზაციის და არმიის შევსების ხელმძღვანელი.

\*\* ჯარის მეთაური (სერ-მეთაური, ასკერი-ჯარი).

ფაშა კვლავ „ქაფთანი დერიას“ თანამდებობაზე დააბრუნეს. ამ პერიოდში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შეიარაღების საქმეთა კომიტეტის შექმნასა და შეიარაღებული ძალებისთვის მის ნაყოფიერად გამოყენებას.



ხოსრო ერისთავი-ჩხეიძის აღზრდილი, წარმოშობით ქართველი,  
ჰალილ-რიფაత-ფაშა

1845 წელს ჰალილ-ფაშა დაინიშნა ტრაპიზონის გუბერნატორის თანამდებო-ბაზე. 1847 წელს მონა-წილეობდა პარლამენტის მუშაობაში და კვლავ ასრულებდა (უკვე მესამედ) „ქაფთანი დერიას“ უფროსის მოვალეობას. 1848-1854 წლებში მუშაობდა აიდინის (ეგეოსის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე) XVI-XVII საუკუნეებიდან არსებული სამთავროს და

ბურსას გუბერნატორის თანამდებო-ბობებზე. 1854-1855 წლებში, ამჯერად უკვე მეოთხედ, დაუბრუნდა „ქაფთანი დერიას“ თანამდებობას. ჰალილ-ფაშა გარდაიცვალა 1860 წელს. დასაფლავებულია სტამბოლის ეიუფსულთანის რეგიონში მდებარე მისსავე სახელობის სასაფლაოზე.




ჰალილ-რიფათ-ფაშის საფლავი სტამბოლის ეიუფ სულთანში

ჰალილ-რიფათ-ფაშამ ორჯერ იქორწინა. სულ-თან მაჰმუდ II-ს მიაჩნდა, რომ მისი 25 წლის ქალიშვილის – სალიპასთვის შესაფერისი ქმარი იქნებოდა სადესანტო შეიარაღების სარდალი ჰალილ-რიფათ ფაშაო. 1834 წლის 10 სექტემბერს ჰალილ-რიფათ-ფაშას ჩირალან საპილის სარაიაში ლურჯ საყელოიანი ჰარგანი ჩააცვეს და გამოუცხადეს, რომ მან მიიღო სამეფო ოჯახის სიძის წოდება. ამ გადაწყვეტილების დამადასტურებელი წერილი მას

სახელმწიფო საკანცელარიო საქმეთა ხელმძღვანელმა მეპმეთ-საიომა გააცნო. ისლამის კანონების დაცვით ქორწინების რიტუალი 1834 წლის 1 მაისს ჩატარა შეიხულ ისლამ მექქიზადე მუსტაფა ისიმმა.

ჰალილ-ფაშის მეუღლე სალიპა ადრე, 1843 წელს გარდაიცვალა და დასაფლავებულია მამის, მაჰმუდ II-ის სახელობის სასაფლაოზე. ჰალილ-რიფათ ფაშას სალიპათან ქორწინებიდან ერთი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი შეეძინა. 1835 წელს დაბადებული ვაჟიშვილი აბდულლაჰი 1837 წელს, ორი წლის ასაკში გარდაიცვალა და დაასაფლავეს ბაბუას, მაჰმუდ II-ის სახელობის სასაფლაოზე. 1837 წელს დაბადებული მეორე ვაჟიშვილი – ჯავითიც იქვეა დასაფლავებული.



ჰალილ-ფაშის შვილი  
მაჰმუდ-ფაშა

ერთ-ერთი ქალიშვილი, რომელიც ჰალილ-ფაშას პირველი ცოლისგან შეეძინა, გათხოვდა მეპმედ ალი-ფაშაზე და ამ ქორწინებიდან დაიბადა სულთან აბდულ-ჰამით II-ის თანაშემწე ალი ფუათ-ფაშა. მეორე ქალიშვილი აიშე გათხოვდა სევერ-ფაშაზე, ხოლო მესამე ქალიშვილი – ქულაქსიზ-ზადე მუსტაფა-ზე.

ჰალილ რიფათ-ფაშა იყო პროგრესულად მოაზროვნე სახელმწიფო მოხელე. მხატვრობით დაინტერესებული და ამავე დროს რამდენიმე პორტრეტის ავტორიც.



ჰალილ-ფაშის შეიძლიშვილი  
სებაშატლინ-ბეგი

ჰალილ-ფაშა თავისი აღმზრდელის ხოსრო-ფაშის დახმარებით დაუუფლა არაბულ, სპარსულ, ფრანგულ და იტარლიურ ენებს. იყო ისტორიის საუკეთესო მცოდნე. ამასთანავე იგი მარჯვე და დაუცდენელ მსროლელთა რიგებშიც ირიცხებოდა. ჰალილ რიფათ-ფაშამ, იზმირის გუბერნატორის თანამდებობაზე მუშაობის პროცესში ჩამოაყალიბდა იზმირის სამოქალაქო რეესტრის არქივი, შეძლო რეგიონში მშევიდობის დამყარება და იზმირის სახელმწიფო საავადმყოფოს დაარსება. ჰალილ-ფაშა, როგორც ვთქვით, ოთხჯერ მუშაობდა „ქაფთანი დერიას“ თანამდებობაზე, რაც მთლიანობაში შვიდ წელიწადს, ოთხ თვესა და ექვს დღეს შეადგენს.<sup>29</sup>

\* \* \*

ისტორიკოს მიხეილ სვანიძეს ხოსრო-ფაშის ერთ-ერთ კონკურენტად, „მტრად“ მიაჩნია მუსტაფა-რაშიდ-ფაშა (დ. 1800 წ.). ის ყოფილა დარიბი თჯახის შვილი, რომელიც გავლენიანი სიძის დახმარებით, დიდი ვეზირის კანცელარიაში მოხვდა, საკმაოდ დაწინაურდა, ბეგის წოდება მიიღო, ხოლო 1834 წელს საფრანგეთში ელჩად გაუშვეს. აქ იგი გაეცნო გვრობულ სახელმწიფო მოწყობას. სამი წლის შემდეგ ოსმალეთში დაბრუნდა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა. როგორც ჩანს, ახალგაზრდა მოხელე მომხრე იყო წინასწარი სამზადისის გარეშე, ოსმალეთში რეფორმების სწრაფად გატარებისა, რასაც არ ეთანხმებოდნენ უმაღლესი პორტას საბჭოს მეთაური ხოსრო-ფაშა და შინაგან საქმეთა მინისტრი აქიფ-ფაშა. ისინი მიზანშეწონილად თვლიდნენ რეფორმების საცდელად გატარებას ჯერ თურქეთის იმპერიაში შემავალი აზიისა და ევროპის ორ სანჯაფში. სწორედ ამ დროს გარდაიცვალა სულთანი მაჰმუდ II, რამაც შეაფერხა რეფორმების განხორციელება. მიუხედავად ამ სერიოზული მიზეზისა, რეფორმების შეფერხებას მ. სვანიძე ხოსრო-ფაშის კონსერვატორობას მიაწერს, რაც ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს.<sup>30</sup> ამაზე მეტყველებს ხოსრო-ფაშის მოღვაწეობა, რომელშიც დოკუმენტურად დასაბუთებულია მისი დიდი სწრაფვა ოსმალეთის სახელმწიფოს ახლებურად მოწყობისათვის.

სულთან მაჰმუდ II-ის სიცოცხლის ბოლო წლებში სტამბოლში განსაკუთრებით იმატა ძარცვა-ყაჩაღობის

შემთხვევებმა. ამის მიზეზი ნაწილობრივ ისიც იყო, რომ მეზობელ ქვეყნებში გამკაცრებული კანონების გამო დალმაცია-ალბანეთიდან და სარდინია-კორსიკიდან ქურდებმა ოსმალეთს მიაშურეს. საზოგადოების უქმაყოფილებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.

სულთანის დავალებით საგანგებოდ შეიკრიბა სტამბოლის დივანი (სულთანის საბჭო, რომელშიც შედიოდნენ დიდგვაროვნები და ქვეყნის დიდმოხელეები, რ. ს.), რომელსაც საბჭოს პრეზიდენტი ქართველი დიდვეზირი ხოსრო-ფაშა ერისთავიჩებიდე თავმჯდომარეობდა. პირადად მან სამსჯელოდ გამოიტანა მის მიერ დიდი ხნის წინ ნაფიქრალი და ათასჯერ განსჯილი, ოსმალეთის სახელმწიფო პოლიციის შექმნის პროექტი, რომელიც მისივე დაკვეთით და კარნახით დაიწერა. მარტივი და საკმაოდ მოქნილი ენით შედგენილი პროექტის შესრულება დიდ ხარჯებს არ მოითხოვდა, მაგრამ დივანზე მისი მიღება და დაკანონება არ მოხერხდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ პროექტი ეწინააღმდეგებოდა მძარცველებთან ფარულ კავშირში მყოფ დივანის წევრების, მაღალხინოვნიკების, წარჩინებული ყაჩაღების საიდუმლო თუ აშკარა მოქმედებას. მათი რიცხვი სულთანის კარის უმაღლეს ორგანოში კი საკმაოდ დიდი იყო.

დ. ჯანელიძეს თავის წიგნში მოყავს უცხოელთა ჩანაწერები, რომლებიც ქართველი თავადიშვილის ხოსრო-ფაშის პიროვნების შესახებ საკმაოდ სრულ დახსასიათებას იძლევიან. ამ მხრივ საინტერესოა აბდარ-რაჭმან-ჯაბარეის მიერ ფრანგულ ენაზე 1838 წ. შედგენილი დღიური, საიდანაც ჩვენ საინტერესო

ფრაზები ამოვიღეთ: ხოსრო-ფაშა „საქართველოში დაიბადა. ჯერ მონა იყო ხონქარ აბდულ-ჰამიდისა, შემდეგ კი მისი პაჟი (ახალგაზრდა აზნაური, რომელიც ემსახურებოდა სულთანს და გადიოდა რაინდობისათვის მზადების საწყის საფეხურს, რ. ს.). აღიზარდა სერალში\* სახელგანთქმულ პუსეინ-ფაშასთან (იგივე ქუჩუკ-ჰუსეინი). ისინი ერთად იზრდებოდნენ, შემდეგ ხუსრევი პუსეინის ხაზინადარი გახდა.“ ავტორის მომდევნო სიტყვები იმდენად შთამბეჭდავია, რომ სხვა არაფერია საჭირო, მარტო მისი წაკითხვით შეიძლება შეგვერდნას წარმოდგენა ჭეშმარიტ ქართველ დიდგვაროვანზე: „ჭაბუქობიდანვე ხოსროვი დიდი უნარით და ჭკუით გამოირჩეოდა. კეთილშობილება მანერებში, ალერსიანობა და მომხიბვლელობა უცხოელებთან ურთიერთობაში, სიამაყე თავისიანების წინაშე.“<sup>31</sup> „თავისიანებში“ უნდა ვიგულისხმოთ არა სულთნის კარზე მყოფი მოხელეები, არამედ ხოსრო-ფაშის თანამემამულეები: დედით ქართველი სულთან მაჰმუდ II, მისი მეუღლე ქართველი ფატიმა ქუთაოელაქე, იგივე პატარა ხუსეინ-ფაშა, მის მიერვე აღზრდილი მრავალრიცხოვანი ქართველები და ა. შ.

ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა, ტყვე ან მონა როგორ შეიძლებოდა დიდი სამხედრო ჩინოვნიკი ან ვეზირი გამხდარიყო?

როგორც ჩანს, მონებთან დაკავშირებით ოსმალეთში ადრე სხვა კანონები მოქმედებდა. მონა ომში, ან მშვიდობიანობის დროს თაგს თუ

---

\* სულთანის რეზიდენცია.

გამოიჩენდა, მას სამხედრო ჩინს ნახტომისებურად აძლევდნენ. თუ კვლავ განაგრძობდა წარმატებებს, იგი შესაძლოა სარდლის ან ვეზირის დონემდე ამაღლებულიყო. რაც მთავარია, ძველ ოსმალეთში დაწინაურების დროს ეროვნების მოტივით არავითარი შეზღუდვა არ არსებობდა. მთავარი იყო მუსლიმანური რწმენა, თანდაყოლილი ნიჭი და განსწავლულობა. სწორედ ამ თვისებებით დაწინაურდნენ ხოსრო-ფაშა, მისი ქართველი მეგობრები და აღზრდილები. ამ მხრივ ხოსრო ერისთავი-ჩხეიძე ტიპიური უცხოელია, რომლისთვისაც ხელი არ შეუშლია მის ეროვნებას; მას შესაბამისი განათლება აღიარა ისლამი, ჰქონდა ხოლო შემდგომში საკუთარი ნიჭის წყალობით ოსმალეთის პირველი ვეზირი გახდა, რომელიც სულთანის შემდეგ მეორე კაცად ითვლებოდა.

\* \* \*

მაღზე საინტერესოა ხოსრო-ფაშის მეგობრის და თანატოლის, წარმომავლობით ქართველის **პატარა ჰუსეინ-ფაშის** ბიოგრაფიაც (პატარა დაბალი ტანის გამო შეარქვეს). იგი ხოსროზე აღრე დაწინაურდა სულთანის კარზე, ამიტომ ხოსროს წინსვლაში ჰუსეინ-ფაშამაც ერთგვარი დადებითი როლი შეასრულა.

ჰუსეინი (მისი ქართული სახელ-გვარი და სადაურობა უცხობია), 1757 წელს დაბადებულა. 1768 წელს, ე. ი. 11 წლის ასაკში, მის დასთან ერთად იბრაიმ-ფაშამ საქართველოდან ჩამოიყვანა და სულთან მუსტაფა III-ს საჩუქრად გადასცა. ჰუსეინი სულთანის



სოსრო ერისთავიჩხეიძის მეგობარი, ქართველი მოღვაწე  
სულთანის პარზე, ჰუსეინ-ფაშა (ქუჩუკი)

ვაჟის სელიმის (შემდგომში სელიმ III) თანატოლი იყო, ბიჭები ერთმანეთს დაუახლოვდნენ და ძმადნაფიცები გახდნენ. ისინი ერთად იზრდებოდნენ. ერთხელ მუსტაფა III- მტრებმა გადაწყვიტეს თავს დასხმოდნენ სელიმს, რათა თავიდან მოეშორებინათ მომავალი კანონიერი სულთანი. ეს განზრახვა სრულიად შემთხვევით გაიგო ჰუსეინის დამ, გულ ჰაირმა და ძმას შეატყობინა. ჰუსეინის სიმამაცით და მოხერხებით სელიმი სიკვდილს გადაურჩა. ამ ამბავმა ჰუსეინი კიდევ უფრო დაახლოვა სულთანის კარს და თვით ტახტის მემკვიდრეს.

ჰუსეინმა შესაფერისი განათლება ენდერუნში მიიღო. 1789 წელს, როცა სელიმი სულთანი გახდა, ჰუსეინი მთავარ მცველად დაინიშნა, სამი წლის შემდეგ კი იგი ოსმალეთის მიმდებარე ყველა ზღვის კაპიტნად დააწინაურეს. 1792 წელს ჰუსეინმა ცოლად შეირთო სულთან აბდულ-ჰამიდ I-ის ქალიშვილი, 36 წლის ესმა და იგი სასახლის სიძე გახდა.

პატარა ტანის ქართველი ჰუსეინ-ფაშა ძალიან დიდი ჭკუა-გონების და ფიზიკურად ძლიერი კაცი იყო, ამავე დროს სპეციალისტი, პატიოსანი და საზრიანი. მისი კაპიტნად მოღვაევშების დროს განხორციელდა ოსმალეთის ფლოტის რეფორმა, აშენდა ოცამდე ახალი გემი, გადახალისდა მთელი საზღვაო სისტემა, აშენდა წყალსაცავები და პორტები, გაუმჯობესდა მეზღვაურთა მომზადება სინოპსა და როდოსში. მისი ვაჟიაცური ქმედებით აღკვეთილ იქნა ოსმალეთის პორტებზე ცნობილი მექობრეების ლამბროს და ქარაქაჩანის თავდასხმები.

ხუსეინ-ფაშა სულთან სელიმ III-ს პირველი და ერთგული ვეზირი გახდა, სარგებლობდა მისი უსაზღვრო სიყვარულით, დებულობდა ჯილდოებსაც, მაგრამ ამას შურიანთა დიდი სიძულვილი მოჰყვა. სასახლეში მას მრავალი მტერი გაუჩნდა.

1797 წელს ბალკანეთში, ფაზვანდოდლუს მეთაურობით იფეთქა ანგიოსმალურმა აჯანყებამ. სულთანმა აჯანყების ჩასაქრობად მამაცი გურჯი ჰუსეინ-ფაშა გაგზავნა. მან შეძლო მდელვარების დაცხობა, ხოლო მეთაური ფაზვანდოდლუ შეიპყრო და სტამბოლში ჩამოიყენა. სულთანმა მას სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ ხუსეინის ჩარევით სელიმ III-მ იგი არამარტო შეიწყალა, არამედ


სერალის მცველად დანიშნა. ამ ქმედებით ხუსეინ-ფაშამ ოსმალეთში და ბალკანეთის ქვეყნებშიც დიდი ჰუმანისტის სახელი მოიხვეჭა.

პატარა ჰუსეინ-ფაშის სამხედრო ნიჭს მიაწერენ ეგვიპტიდან ნაპოლეონის გაძევებას. მან ხელთ იგდო კაიროს ციხის გასაღები და იგი ვინმე ჰაირეთთინ ადას ხელით სულთანს გაუგზავნა. საყურადღებოა, რომ ეგვიპტეში ლაშქრობის დროს პატარა ჰუსეინ-ფაშას მხარში ედგა, როგორც მისი საიმედო სარდალი და მეგობარი ხოსრო-ფაშა ერისთავი-ჩეიიდე. ეგვიპტეში ფრანგების მარცხის მიუხედავად, ჰუსეინ-ფაშამ საფრანგეთთან კარგი ურთიერთობა დაამყარა. ამაში დიდი იყო ხოსრო-ფაშის დამსახურებაც. ამიტომ აღარავის გაგვირვებია, როცა ჰუსეინ-ფაშამ ეგვიპტეში გვარდიის უფროსად თავისი მეგობარი ხოსრო-ფაშა ერისთავი დანიშნა. აქედან იწყება ხოსროს თანამდებობრივი აღმასვლა, რაც თანამემამულე პატარა ფაშის გულმოდგინების შედეგი იყო. მალე ხოსრო ერისთავი-ჩეიიდე ეგვიპტის მეფის ნაცვალი გახდა, რაც თავისთავად მის დიდ სამხედრო-აღმინისტრაციულ ნიჭზე მეტყველებს.\*

1801 წელს ჰუსეინ-ფაშა სტამბოლში დაბრუნდა და ორი წელი ეგეოსის ზღვის კუნძულების, მორეას ნაპირების გამაგრებას მოანდომა.

\* მეითხველს შეუძლია ეს თანამდებობა შეადაროს კაგასიის მეფისნაცვლის მოვალეობას, რომლის გამგებლობაში შედიოდა აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, სტრავროპოლის და კრასნოდარის გუბერნიები, მთელი წრდილო კავკასია როსტოვამდე. (რ. ს.). ჰუსეინ-ფაშა ქუჩუკის მოდვაწეობაზე ვრცლად იხ. დავით ჯანელიძე. საქართველო და აღმოსავლეთი. თბილისი. 1984 წ. გვ. 310-323.

პატარა ჰუსეინ-ფაშა გურჯი 1803 წლის 8 აპრილს გარდაიცვალა. ამ ამბავმა დიდი მწუხარება გამოიწვია, როგორც სულთან სელიმის კარზე, ასევე საფრანგეთშიც. ნაპოლეონმა სამძიმარი გამოუცხადა ოსმალეთის ელჩს, ხოლო ქართველ ჰუსეინს ეგვიპტის მეორედ დამმორჩილებელი უწოდა. ჰუსეინ-ფაშა ქაბრიეიუფ-სულთანის სასაფლაოზე დაკრძალეს. მისი და გულ-ჰაირ-ხანუმი კი 1837 წელს გარდაიცვალა და ლალელიშის სასაფლაოზე განისვენებს.



**ჰუსეინ-ფაშის (ჰუსეინის) საფლავი**

ჰუსეინის მეუღლე ესმა-ხანუმი 1848 წელს გარდაიცვალა და სულთან მაჰმედ II-ს სასაფლაოზე მიუჩინეს განსასვენებელი აღგილი.

სტამბოლში დღესაც შემორჩენილია ჰუსეინ-ფაშისა და ესმა-ხანუმის სახელზე აშენებული ქანდაკებები, წყაროები და შადრევნები.<sup>32</sup>

\* \* \*

როგორც ვთქვით, ხოსროს პირადმა ნიჭმა და დიდმა უნარმა განაპირობა, რომ ქართველი ერისთავი ეგვიპტის მეფისნაცვლად დანიშნეს. მართალია, იგი არ იცნობდა ამ ქვეყნის ადამიანებს და მათს ადამიერებს, რამაც მრავალ სიძნელეებთან შეაჯახა, მაგრამ სწორედ ამ სიძნელეებმა აიძულა ხოსრო უკავშირ გაცნობოდა ქვეყნის ტრადიციებს, ადამიანებს. ყოველ შემთხვევაში ხოსრო-ფაშისათვის ეგვიპტე აღმოჩნდა ის სკოლა, რომელმაც გაწვრთნა მისი ნიჭი და უნარი და გამოუშუალება დიდი სიბრძნე და მოხერხებულობა. სწორედ ამ თვისებების წყალობით უკავა მას დიდი იმპერიის სულთანის შემდეგ მეორე პოსტი და ხანგრძლივი სიცოცხლის დასასრულამდე პატივი არასოდეს მოკლებია. ამაზე მეტყველებს მისი სამსახურებრივი იერარქია; დაგვმაყოფილდებით მხოლოდ თანამდებობების ჩამოთვლით: კაფუდან-ფაშა (ადმირალი), ტრაპიზონის გუბერნატორი, სპარსეთის საზღვრებზე მდგომი არმიის მთავარსარდალი, დიდი ამირბარი, სრუტეების გენერალური ინსპექტორი, ეგვიპტის მეფისნაცვალი, ოსმალეთის იმპერიის არმიების გენერალისიმუსი, სამხედრო მინისტრი, ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტი...

ზემოთხსენებული და დობინოს სიტყვებით, ხოსრო-ფაშა იყო შეუდრევებელი სიმტკიცის კაცი, უადრესად ჭავიანი და მოხერხებული, ინტრიგების ხელოვნებას ვირტუოზულად დაუფლებული, ულმობელი იმათ მიმართ, ვინც მის სწორ განზრახვას გადაედობებოდა. დედით ქართველი სულთანი მაჰმუდ II ამაზე უკავეს

თანამოსაგრეს ვერც კი ინატრებდათ – ასკვნის ავტორი.<sup>33</sup>




ოსმან, მამუდ, ხუსეინ, ყელირ (გახტანგ), ფელულ (ფელიქს),  
აბდულ (არჩილ) სულეიმანის ძე ჩხეიძეები.



აქუცელ ჩხეიძეთა ახალი თაობა.  
ცენტრში პროფესორი ნოდარ ჩხეიძე. 16 ივნისი, - 2012 წ.


**ერისთავ-ჩეიძეთა გენეალოგიური  
ხე ემინ-აღა და ბაშ-აღა  
ჩეიძეების შტო. ს. აქუცა.  
შეადგინა ნოდარ ჩხეიძემ  
5 მაისი, 2012 წ.**



## აშარელ ასამბაძეთა (დედით მრისთავთა) გენეალოგია

შეადგინა რამაზ სურმანიძემ

3 ნოემბერი, 2010 წელი



## ბოლოთშმა

საქართველოს და ოსმალეთის იმპერიას შორის მომხდარ მრავალ დიდსა და მცირე ომებს ითვლიან, იყო ეპიზოდური თავდასხმები, შემოსევები, ხოცვა-ქლეტა. ოსმალეთის დიდმოხელეების და არმიის სარდლების თანამდებობები მრავალ ქართველს ეკავა. ესენი, ქაიხოსრო ერისთავის მსგავსად, ბავშვობიდან გაყიდეს, შემდეგ მათ მიიღეს დიდი განათლება და ბუნებრივი ნიჭის წყალობით დიდ იერარქიულ აღმასვლასაც მიაღწიეს. ბუნებრივია, სამშობლოს მოცილებულმა ქართველებმა თავიანთი ნიჭი, უნარი და ქნერგია ოსმალეთის იმპერიის კეთილდღეობას მოახმარეს, თუმცა ისინი არც საკუთარ სამშობლოს და ქართველებს ივიწყებდნენ და შეძლებისდაგვარად შემწესა და მფარველის ხელსაც უწვდიდნენ.

მიუხედავად ამისა, ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სამშობლოდან იძულებით გადაკარგულ ამ პიროვნებების საქმიანობის სწორ შეფასებებთან ერთად ხშირად შეხვდებით დაუმსახურებულ აუგსა და ასეთ სიტყვებს: „ოსმალეთის სამსახურში მყოფი ყველა გენერალი სიმდიდრესა და ფულუნაბაში ცხოვრობდა, სამშობლო და მშობლიური ენა სიკვდილამდე არ დავიწყებიათ, თურქეთში ნებით თუ უნებლიერ მოხვედრილ თანამემამულეებზეც ზრუნავდნენ, მაგრამ რადგან მათი ძალა და გონება სამშობლოს არ ემსახურებოდა, ისტორიამ მათ საშინელი განაჩენი გამოუტანა. მათ სიცოცხლესთან ერთად გაჰქრა მათი სახელი და დიდება...“<sup>34</sup>

გერაფერს იტყვი, თითქოს ნათქვამიდან ყველაფერი თქმულია, მაგრამ საკითხავია, რა იყო ამ პიროვნებათა უცხოეთში გადატყორცნის მიზეზი?

რესეტის ხელისუფლების მიერ ქართველი სამეფოების გაუქმების, მეფე-მთავრების და მათი ოჯახების დევნა-

შევიწროების, წარჩინებულთა ფიზიკური განადგურების ფონზე, თითქმის ყველა შემთხვევაში ქართველ მოღვაწეთა ოსმალეთში გადახვეწის მიზეზი ჩრდილოეთის იმპერიის მხრიდან გამოჩენილი ძალადობა იყო. რომ არა ეს ძალმომრეობა, ასეულობით ქართველი წარჩინებული სამშობლოში დარჩებოდა და თავის მთელს შასაძლებლობებს საკუთარი ერისა და ქვეყნის კეთილდღეობას მოახმარდა.

სამწუხაროდ, ცარიზმის და ბოლშევიკური რევიმის პირობებში ამ ჭეშმარიტების თქმა საშიში იყო. მაშინ სპარსეთსა და ოსმალეთში იძულებით გადახვეწილ ყველა პიროვნებას ხალხის მტრისა და ერის მოდალატის დამდა ჰქონდა მიკერებული. სამაგიეროდ, რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფი ყველა პიროვნება. ვინც გარუსდა და საკუთარი სამშობლოსათვის დიდად არ ზრუნავდა, გმირებად იყენებ გამოცხადებული.

იმპერია იმპერიაა, მათ შორის მნელია განსხვავების მონახვა, რადგანაც ორივე სხვისი მიწების დამპყრობია. გარდა ამისა, იმპერიების მთავარი მიზანი სხვა ქვეყნის ანექსია და ერის ასიმილაციაა. რუსეთის იმპერია, მთელი მისი არსებობის ისტორიის მანძილზე, ამ მიზნებს დიდი გულმოდგინებით ასრულებდა და ამის მაგალითი 21-ე საუკუნეშიც მისცა ცივილიზებულ კაცობრიობას, როცა სამსედრო ძალით ქართული მიწები – აფხაზეთი და სამაჩაბლო დაიპყრო.

უცხოეთში გადახვეწილი ქართველი დიდ-მოხელეები მათი შეხედულებისამებრ ზოგჯერ სისასტიკესა და დაუნდობლობასაც ამჟღავნებდნენ, მაგრამ იმ დროს ეს არც იყო გასაკვირი. ასეთი მაგალითები ჩვენშიც მრავალი იყო. მაშინ ასეთი იყო ეპოქა და ასეთივე იყო იმდროინდელი მმართველობის წესი.

## ლიტერატურა

1. **რამაზ სურმანიძე.** ქართველი გლეხი ოსმალეთის მუშირი. ქ. „ჭოროხი“, №1, 2012 წ. გვ. 80-83.
2. ქართლის ცხოვრება. ტ. 1. თბ. 1954. გვ. 258. სიმონ ყაფხიშვილის რედაქციით და გამოკვლევით.
3. **ოლდა სოსელია.** ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. თბილისი. 1973. გვ. 25-28.
4. იქვე, გვ. 31.
5. იქვე, გვ. 32-35.
6. იქვე, გვ. 89.
7. იქვე, გვ. 102.
8. იქვე, გვ. 108.
9. იქვე, გვ. 109, 110.
10. ჯემალ ჩხეიძის მონაფოლის დედანი ჩვენთან ინახება (რ. ს.).
11. **ზაქარია ჭიჭინაძე.** ქართველთა გამუსლიმანება. თბილისი. 2004. გვ. 75, 76.
12. **ზაქარია ჭიჭინაძე.** ქართველ მაპმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში. მუპაჟირი-ემიგრაცია. თბილისი. 1914. გვ. 125.
13. **ზაქარია ჭიჭინაძე.** მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი. 1913 წ. გვ. 36.
14. იქვე, გვ. 105.
15. **ზურაბ მახაჭაძე.** აქცეა. ქედა. 2004. გვ. 230.
16. **რამაზ სურმანიძე.** სურმანიძეები. ბათუმი. 2001. გვ. 37. საბუთი ამჟამად ჩემს ოჯახში ინახება.
17. **ო. სოსელია...** გვ. 94.
18. იქვე, გვ. 100-102.
19. იქვე, გვ. 103-106. **მიხეილ რეხვიაშვილი.** იმერთა მეფენი. ქუთაისი. 1992. გვ. 47-69.

20. იქვე, გვ. 107.
21. იქვე, გვ. 108.
22. აჭარის დიგის კრცელი და მოკლე დაგთრები. გამოსაცემად მოამზადეს **ზაზა შაშიკაძემ** და **მირიან მახარაძემ**. თბილისი, 2011. გვ. 18, 87.
23. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა-დავთარი. გამოსაცემად მოამზადეს **ცისანა აბულაძემ** და **მიხეილ სვანიძემ**. თბილისი. 1979. გვ. 178.
24. Murat Kasap. Osmanli Güleri. Istanbul. 2010. ავტორმა თავის ნაშრომს დაუროთ ხუსრუ-მემედ-ფაშის ორი უიშვიათესი ნახატი.
25. **დავით ჯანელიძე**. საქართველო და აღმოსავლეთი. თბილისი. 1984.
26. **მურატ კასაპი...** გვ. 56.
27. **დ. ჯანელიძე**. გვ. 347.
28. იქვე, გვ. 350.
29. **მ. კასაპი** გვ. 71.
30. **მიხეილ სვანიძე**. ოსმალეთის ისტორია. II. თბილისი. 2002. გვ. 167, 168.
31. **დ. ჯანელიძე...** გვ. 350, 351.
32. **მ. კასაპი...** გვ. 67.
33. **დ. ჯანელიძე...** იქვე.
34. ქველი ჩხატარაიშვილ. გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან. თბილისი. 1985. გვ. 105.

## სარჩევი

|   |    |
|---|----|
| წინათქმა . . . . .                                | 03 |
| ჩხეიძე-ერისთავთა გვარი . . . . .                  | 04 |
| რას გვიამბობს ჯემალ ჩხეიძე თავის გვარზე . . . . . | 08 |
| სოფელი აქეცა . . . . .                            | 11 |
| ზაქარია ჭიჭინაძე და აქეცელი ერისთავი . . . . .    | 13 |
| ჩხეიძე-ერისთავები აჭარაში . . . . .               | 16 |
| ვინ და როდის გადასახლდა აჭარაში? . . . . .        | 18 |
| ვინ იყო ხოსრო ერისთავი-ჩხეიძე? . . . . .          | 25 |
| მურად კასაპი . . . . .                            | 27 |
| დავით ჯანელიძე . . . . .                          | 37 |
| ხოსრო-ფაშა ერისთავი-ჩხეიძის აღზრდილები . . . . .  | 38 |
| ბოლოთქმა . . . . .                                | 58 |
| ლიტერატურა . . . . .                              | 61 |



რედაქტორი ნოდარ ჩხეიძე  
ოპერატორი ნანი გორგაძე  
პროგრამისტი ანაიდა ავეტისიანი  
ფოტორეპორტერი ზურაბ სურმანიძესა